დეზინფომეტრი

რუსული დეზინფორმაციის ანგარიში

ივლისი-აგვისტო 2020

GRASS REFORMANDA

სარჩევი

შესავალი 4

ძირითადი მიგნებები 5

NATO-ს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია 10

აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია 12

ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია 16

დეზინფორმაცია საერთაშორისო საკითხებზე 20

ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე გავრცელებული დეზინფორმაცია 22

რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდა 25

ანტითურქული დეზინფორმაცია 27

კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაცია 31

ძირითადი აქტორების სტატისტიკა 33

წყაროების სტატისტიკა 34

ავტორები:

იაკობ ლაჩაშვილი, ნიკა მამულაძე, დავით ნაროუშვილი

რედაქტორები:

პაატა გაფრინდაშვილი, მარიამ წიწიკაშვილი

ანგარიში მომზადდა „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) მიერ „პარტნიორობა ღია ინფორმაციისთვის“ (Open Information Partnership (OIP)) მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს OIP-ის პოზიციებს.

© საქართველოს რეფორმების ასოციაცია 2020

www.grass.org.ge

www.factcheck.ge

შესავალი

ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაცია საქართველოში წლებია აქტიურად ვრცელდება. აღნიშნული ანგარიშის მიზანია, გამოიკვლიოს დეზინფორმაციის გამავრცელებელი საშუალებების გზავნილები და მკითხველს გააცნოს მათ დისკურსში არსებული ტენდენციები, როგორც ქვეყნის საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

ანგარიში მიმოიხილავს ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაციის გზავნილებს 2020 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 31 აგვისტოს პერიოდში. მონიტორინგის ფარგლებში მოხვდა 9 ონლაინმედია და 9 Facebook-გვერდი, რომლებიც შეირჩა "საქართველოს რეფორმების ასოციაციის" პროექტ „ფაქტ-მეტრის" მედიის რეგულარული მონიტორინგის ფარგლებში. საერთო ჯამში, დამონიტორინგდა 1372 მასალა (სტატია, ვიდეო, ფოტო, Facebook-პოსტი) საიდანაც ანგარიშში მოხვდა 253 მედია პროდუქტი[1]. ნაშრომში მიმოხილულია ის მასალები, რომლებშიც ყველაზე მეტად გამოიკვეთა პრორუსული და ანტიდასავლური მედიის გზავნილები და რომლებიც კამპანიურად ვრცელდებოდა. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაცია რვა ძირითად მიმართულებადაა გადანაწილებული.

სოციალურ ქსელში დეზიფორმაციის გავრცელების მასშტაბის გასაზომად გამოყენებულია Facebook-ის ანალიტიკური ხელსაწყო CrowdTangle.

[1] გამომდინარე იქედან, რომ Facebook-მა 2020 წლის ოქტომბერში წაშალა „ალტ-ინფოსთან" დაკავშირებული მთელი რიგი გვერდები, საბოლოოდ, ანგარიშში ასახულია 223 აქტიური ბმული

ძირითადი მიგნებები



NATO-ს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

- NATO დაშლის პირას მყოფი უფუნქციო ორგანიზაციაა
- NATO-ში საქართველოს არასოდეს მიიღებენ, რადგან ალიანსის მკაფიო პოზიციაა, რომ კონფლიქტების მქონე ქვეყნები ვერ გაწევრიანდებიან NATO-ში
- თუ NATO-ში მიგვიღებენ, საქართველოში თურქული სამხედრო ბაზები განთავსდება
- NATO-ში წევრობა საქართველოს მხრიდან მის ტერიტორიებზე უარის თქმას ნიშნავს
- NATO არა სამშვიდობო, არამედ აგრესიულ სამხედრო მიზნებს ემსახურება
- ალიანსში გაწევრიანება არ არის ქართველი ხალხის ნება და ჩატარებული გამოკითხვები მუდმივად ყალბდება
- NATO-სთან თანამშრომლობა საქართველოს აღარიბებს, რადგან ქვეყანას უწევს არასაჭირო სამხედრო ხარჯების გაწევა
- NATO-ს რუსეთის ეშინია, რადგან რუსეთი საკუთარი ინტერესების დასაცავად იბრძვის, NATO კი - ფულისთვის

აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

- ამერიკა უხეშად ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში
- ამერიკის საელჩო მართავს ქართულ პოლიტიკას
- აშშ-ის საელჩო დაპირისპირებაშია აშშ-ის ხელისუფლებასთან
- აშშ საქართველოს, როგორც კოლონიას, ისე ეპყრობა
- ლუგარის ცენტრი ამერიკის სამხედრო ინტერესებს ემსახურება და საქართველოს ბიოლოგიური ომისთვის ამზადებენ
- ამერიკის დახმარება არაფერია რუსეთიდან შემოსულ ფინანსებთან შედარებით
- ამერიკას სატანისტები მართავენ და იქ გაბატონებულია პედოფილია
- ამერიკას საქართველო სამხედრო პოლიგონად გამოყენებისთვის სჭირდება
- აშშ დასუსტდა და მისი გლობალური დომინანტობა დასასრულს უახლოვდება, როგორც სამხედრო, ისე ფინანსურ და იდეოლოგიურ კომპონენტებში
- აშშ ნეგატიურ როლს თამაშობდა და თამაშობს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებასა და რუსეთთან მოლაპარაკების გამართვის ნაწილებში
- ბელარუსში განვითარებული პროცესების უკან ამერიკული ინტერესები დგას

ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებას არ ეხმარება, რაც ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის დაბრუნებისთვისაა საჭირო
- ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ადგილი არაა და რუსული ბაზრის ევროპულით ჩანაცვლება საზიანოა
- დასავლეთის სესხები და ინვესტიციები საქართველოსთვის საფრთხეა
- დასავლეთს საქართველოს დემოკრატია არ ადარდებს
- საქართველოს მთავრობა ევროკავშირის მარიონეტია და მისი რეზოლუციებითა და რეკომენდაციებით იმართება
- ევროკავშირში წევრობის პერიოდთან შედარებით, ბალტიისპირეთში საბჭოთა კავშირის დროს უკეთ ცხოვრობდნენ
- ევროპულმა კურსმა მოლდოვა დააზარალა
- მიგრანტების ტალღა ევროპას „წალეკავს“ და ისინი ევროპაში არეულობას იწვევენ
- ევროკავშირი დაშლის პირასაა - ის შეიძლება იტალიამ, ესპანეთმა, ნიდერლანდებმა და სხვებმა დატოვონ

- პანდემიის პირობებში ევროკავშირის ქვეყნები მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდნენ და ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა არ გამოიჩინეს; იტალია და ესპანეთი გაწირეს, შესაბამისად, არც საქართველოს დაეხმარებიან და ამიტომ საქართველომ ევროპისკენ არ უნდა ისწრაფვოს
- ბელარუსში მიმდინარე აქციები ევროკავშირის მიერ არის ორგანიზებული; პოლონეთს და ლიეტუვას ბელარუსის დაშლა და გადანაწილება სურთ
- ევროკავშირის მიერ თავსმოხვეული იუვენალური იუსტიცია ოჯახებს გაჭირვების გამო ბავშვებს ართმევს
- დასავლეთში სიტყვის თავისუფლება არაა და სიმართლის თქმისთვის ადამიანები იდევნებიან
- ევროკავშირის ფასეულობები მიუღებელია და ამიტომ არჩეულ ევროატლანტიკურ კურსს უნდა გადავხედოთ

დეზინფორმაცია საერთაშორისო საკითხებზე

- დასავლეთი ებრძვის ტრადიციულ ფასეულობებს
- ლიბერალები სიტყვის თავისუფლებას ზღუდავენ და მალე მათ წინააღმდეგ გამოძიება დაიწყება
- რომ არა დასავლური დემოკრატიის ნაკლოვანებები, მეორე მსოფლიო ომი არ მოხდებოდა
- ამერიკელი და ევროპელი ლიბერალები ბელარუსში არეულობის მოწყობას და ლეგიტიმური ხელისუფლების ჩამოშორებას ცდილობენ
- თუ ბელარუსის ხელისუფლება დაემხობა, იქ უკრაინის სცენარი (არეულობა, რუსეთთან დაპირისპირება, ეკონომიკის გაჩერება და ა.შ) განვითარდება
- ბელარუსის პროცესების უკან ევროკავშირის ინტერესები დგას
- ბელარუსის ოპოზიციას სოროსი აფინანსებს
- ლუკაშენკო ტრადიციული ღირებულებების ბოლო ბასტიონია ევროპაში
- თუ საქართველო მხარს არ დაუჭერს ლუკაშენკოს, მაშინ ბელარუსები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებენ
- სოროსი აღმოსავლეთ ევროპაში რევოლუციებს და არეულობებს აწყობს და საქართველოს ხელისუფლებაც მისი მოსყიდულია

ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე გავრცელებული დეზინფორმაცია

- ცენტრი „დოსიეს“ მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები შეთხზულია და „პატრიოტთა ალიანსსა“ და კრემლს შორის კავშირი არ არსებობს
- ლიბერალური ძალები ეკლესიას ებრძვიან და მათ მიზანს საზოგადოებაში ეკლესიის მიმართ ნდობის შესუსტება წარმოადგენს
- არასამთავრობო ორგანიზაციები ქართველი ერის წინააღმდეგ მოქმედებენ
- IRI-სა და NDI-ის კვლევები მიკერძოებულია და რეალობას არ ასახავს
- ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიები ქვეყანაში არსებულ ვითარებას გაზვიადებულად უარყოფით კონტექსტში აშუქებენ
- ოპოზიციურ პარტიებს ხელისუფლებაში მოსვლის შანსი არ აქვთ, რის გამოც მათ რევოლუციის განხორციელების მცდელობა ექნებათ
- 2008 წლის ომი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ და პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაიწყეს
- ომის განმავლობაში სააკაშვილის მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი რუსული დაზვერვის სცენარით იყო გაწერილი
- ანტიდასავლური ძალები მიიჩნევენ, რომ აშშ-ს საქართველოს არჩევნებში ხელს ოპოზიციის გამარჯვება და „ქართული ოცნების“ მარცხი აძლევს

რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდა

- საქართველოს ყველა პრობლემის გასაღები რუსეთშია
- დასავლეთი საქართველოს აიძულებს, რუსეთთან დიალოგი არ ჰქონდეს
- ამერიკის ინტერესებში საქართველოს მიერ კონფლიქტების მოგვარება არ შედის, რადგან ეს საქართველოს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას თავისთავად გულისხმობს
- პანდემიის დროს, საქართველოს ეკონომიკას მაშველი რგოლი ისევ რუსეთმა გადმოუგდო
- საქართველო რუსეთის ხარჯზე ცხოვრობს
- მიუხედავად სამხედრო დაპირისპირებისა, რუსეთის პრეზიდენტს ქართველი ხალხისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს
- რუსეთი საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილია და საქართველოს ოკუპაცია კრემლს მხოლოდ გეოპოლიტიკური ინტერესების გამო დასჭირდა
- რუსეთთან ურთიერთობაში პრობლემა საკუთრივ საქართველოში უნდა ვეძებოთ
- დასავლეთი აგრესიულად იქცევა, რუსეთი კი მხოლოდ თავს იცავს

- სერგეი ნავალნი არა რუსეთმა, არამედ დასავლეთმა მოწამლა, რათა რუსეთში არეულობა გამოეწვია
- რუსეთი ეროვნული და ტრადიციული ღირებულებების ერთადერთი რეალური დამცველია
- სტალინი გენიალური ლიდერი იყო, ხოლო საბჭოთა კავშირში ცხოვრება გაცილებით უკეთესი, ვიდრე „დამოუკიდებელ და თავისუფალ“ საქართველოში

ანტითურქული პროპაგანდა

- თურქეთისგან აჭარის ანექსიის საფრთხეა და აჭარა თურქეთისგან დასაცავია
- თუ საქართველო NATO-ში გაწევრიანდება, თურქეთს საქართველოში ჯარის განთავსება და მთელი საქართველოს ოკუპაცია და ანექსია შეეძლება
- რუსეთის გარდა საქართველოს მიწები თურქეთსაც აქვს ოკუპირებული და თურქეთიც ოკუპანტია
- თურქეთი არის საქართველოს ნომერ პირველი მტერი
- მიმდინარეობს აჭარის „ისლამიზაცია“ და „თურქიზაცია“
- ინვესტორების საშუალებით თურქეთის საქართველოში ეკონომიკურ და კულტურულ ექსპანსიას ახორციელებს
- 2021 წელს ყარსის ხელშეკრულებას ვადა გასდის და თურქეთმა შეიძლება აჭარა მიიერთოს.
- თურქეთი ამეირკავკასიაში მადესტაბილიზებელ ფაქტორს წარმოადგენს და აზერბაიჯანის დასახმარებლად, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში, შეიძლება საქართველოს ტერიტორია ნებართვის გარეშე გამოიყენოს

კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაცია

- კორონავირუსი ხელოვნურად შეიქმნა ლაბორატორიაში
- პანდემიის უკან გლობალური ძალები და ბილ გეითსთან დაკავშირებული ჯგუფები დგანან
- კორონავირუსი სეზონური გრიპის მსგავსი ვირუსია და არც ისეთი სახიფათოა
- COVID-19-ის შესახებ სტატისტიკები გაყალბებულია
- ტესტირებების საშუალებით ადამიანების შესახებ გენეტიკურ ინფორმაციას აგროვებენ, რომელიც შემდეგ შესაძლოა გენეტიკური ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად გამოიყენონ
- ვაქცინაციის რეალური მიზანი მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაა
- ვაქცინაცია სავალდებულო იქნება ყველასთვის და ვინც მასზე უარს იტყვის, სახელმწიფო მათ პრობლემებს შეუქმნის

NATO-ს წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

NATO-ს წინააღმდეგ ძირითადად, ოთხი ნარატივი ვრცელდებოდა: (1) NATO-მ თავისი როლი ამოწურა და ის მალე დაიშლება, (2) დასავლეთის ცრუ დაპირებების მიუხედავად საქართველო ვერასოდეს გახდება NATO-ს წევრი, (3) NATO-ში გაწევრიანება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უარის თქმად დაუჯდება და (4) საქართველოს მოსახლეობა რეაურად მხარს არ უჭერს ქვეყნის NATO-ში გაწევრიანებას.

NATO-ს წინააღმდეგ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა პრორუსული გამოცემა „საქართველო და მსოფლიო", რომელმაც სხვებთან შედარებით გაცილებით დიდი დრო დაუთმო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კრიტიკასა და მის წინააღმდეგ პროპაგანდისა და დეზინფორმაციების გავრცელებას.

ერთი მხრივ, აშშ-ს ამჟამინდელ ადმინისტრაციასა და ევროპულ სახელმწიფოებს შორის კრიტიკული დისკუსიებისა და მეორე მხრივ, NATO-სა და თურქეთს შორის გამწვავებული ურთიერთობების ფონზე, პრორუსული გამოცემები შეეცადნენ იმ ახალი ნარატივის კულტივაციას, თითქოს ნატოში დიდი დაპირისპირებებია და ის მალე დაიშლება. „საქართველო და მსოფლიოს" ერთ-ერთი ძირითადი ნარატივის მიხედვით **NATO დაშლის პირას მყოფი უფუნქციო ორგანიზაციაა,** რომელიც კვდება და ის თავის 76 წლის იუბილემდეც ვერ მიატანს. ასევე, გამოცემის თანახმად, თუ NATO გააგრძელებს არსებობას, ეს მხოლოდ ქაღალდზე იქნება და რეალურად კი ის გაქრება. გამოცემის თქმით, NATO-ს წევრ დიდ სახელმწიფოებს შორის სერიოზული განხეთქილებაა, ეს ყველაფერი კი გამომდინარეობს იქიდან, რომ აშშ-ს არ სურს მოკავშირეების ინტერესების გათვალისწინება.

Facebook გვერდი „სტალინი" აცხადებდა, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან დიალოგის ნაცვლად მიაბიჯებს NATO-სკენ, სადაც არავინ მიგვიღებს. ამავე გზავნილის გაგრძელებაა მისი მტკიცება, რომ **NATO-ში წევრობის ცრუ დაპირებები 1994 წლიდან გვესმის, მაგრამ დასავლეთში მუდმივად იმიზეზებენ სხვადასხვა კრიტერიუმებს, რითაც ბლოკავენ საქართველოს წევრობას.** ვებგვერდ tvm.ge-ის თანახმად, დასავლეთმა არაერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს არ მიიღებენ NATO-სა და ევროკავშირში, მაგრამ ამის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება მაინც ჯიუტად აგრძელებს მათკენ სვლას. ამავე გზავნილს აჟღერებდა გამოცემა „ალტ-ინფო". მათ თანახმად, ტერიტორიული კონფლიქტების გამო NATO-ში საქართველოს არ მიიღებენ, ხოლო თუ საქართველო NATO-ში გაწევრიანების რეალურ შანსს მიიღებს, მაშინ რუსეთის მხრიდან მორიგი სამხედრო აგრესია განხორციელდება (მაგალითად ჯავახეთში ეთნიკური კონფლიქტის გაღვივებით).

ტერიტორიული კონფლიქტების გამო NATO-ში საქართველოს არ მიიღებენ, ხოლო თუ საქართველო NATO-ში გაწევრიანების რეალურ შანსს მიიღებს, მაშინ რუსეთის მხრიდან მორიგი სამხედრო აგრესია განხორციელდება

პრორუსული გამოცემები ასევე აპელირებდნენ, რომ საქართველოს NATO-ში გაწევრიანების შემთხვევაში, თუ ეს ოდესმე მოხდა, ქვეყანაში თურქული სამხედრო ბაზები განთავსდება, რაც ერდოღანის იმპერიალისტურ მიზნებს გაუხსნის გზას. Alt-info-ს მტკიცებით, რუსეთი კავკასიაში სამხედრო თვალსაზრისით მომგებიან პოზიციაში იმყოფება და NATO აქ შემოსვლას ვერასდროს შეძლებს. მათივე მოსაზრებით, აშშ-ს არ შეუძლია საქართველოში სამხედრო ბაზების განთავსება, რადგან რეგიონში სიტუაცია არ არის მისთვის სახარბიელო და ძალთა ბალანსი რუსეთისკენ იხრება. რუსეთი არასოდეს დაუშვებს, რომ საქართველოდან მის ქალაქებს NATO-ს ქვემეხები დაუმიზნონ და „თუ საქართველო ამ მხრივ პრობლემას დაჟინებით შეუქმნის, არც ის არის გამორიცხული, საკუთარი უსაფრთხოების მიზნით საქართველოში რუსეთის შეიარაღებული ძალები მომავალშიც შემოიჭრან“.

წინა თვეების მსგავსად, ივლის-აგვისტოშიც კვლავ გამოიკვეთა ნარატივი, რომლის თანახმადაც, **NATO-ს წევრობა საქართველოსთვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე უარის თქმას** ნიშნავს. „საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით, კონფლიქტის მქონე ქვეყნები ალიანსში ვერ გაწევრიანდებიან. „ეს არის გერმანიის მკაფიო პოზიცია და შესაბამისად ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების გარეშე საქართველო NATO-ს წევრი ვერ გახდება“.

„თვალსაზრისის“ თანახმად, **NATO მშვიდობის ნაცვლად ომის მიზნებს** ემსახურება და ამას მოწმობს მისი წევრი სახელმწიფოების ჩართულობა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში. „საქართველო და მსოფლიო“, NATO-ს აგრესიული ბუნების წარმოსაჩენად აცხადებდა, რომ NATO-ს მიზანი ბულგარეთის რუსეთთან ბრძოლის ფრონტად გადაქცევაა. ალიანსის სისუსტეებზე ხაზგასასმელად, „თვალსაზრისი“ ამტკიცებდა, რომ NATO-ს წევრი სახელმწიფოები (საბერძნეთი - თურქეთი) ერთმანეთთან ომისთვის ემზადებიან. უფრო მეტიც, NATO-ში გაწევრიანების შემთხვევაში საქართველო აშშ-ს საომარ პოლიგონად გადაქცევას აანონსებდა „საქართველო და მსოფლიო“. აღნიშნული კონსპირაციის თანახმად, აშშ საქართველოს გამოიყენებს როგორც ირანთან, ისე რუსეთთან მოსალოდნელი კონფლიქტისთვის, რითაც დაზარალდება საქართველოს მშვიდობიანი მოსახლეობა და ინფრასტრუქტურა.

პრორუსული მედიისა და Facebook გვერდებისგან გამოხმაურება მოჰყვა „პატრიოტთა ალიანსის“ ე.წ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვასაც. აღნიშნული სააგენტოები აცხადებდნენ, რომ **ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება არ არის ქართველი ხალხის ნება** და ეს მითი საბოლოოდ დაამსხვრია „პატრიოტთა ალიანსის“ ახალმა კვლევებმა. 2008 წელს ჩატარებულ პლებისციტს NATO-ში გაწევრიანების თაობაზე გაყალბებულს უწოდებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ქართველების უმრავლესობას არ სურს ალიანსში გაწევრიანება.

საქართველოს NATO-ს გამო უაზრო სამხედრო ხარჯების გაწევა უხდება

„პატრიოტთა ალიანსის“ კამპანიის მესიჯები NATO-ს ხარჯებთან დაკავშირებით აისახა პრორუსულ მედიაშიც. „ნიუსფრონტმა“ ფაქტობრივად, პირდაპირ გაიმეორა „პატრიოტთა ალიანსის“ გზავნილი, რომ NATO-სთან თანამშრომლობა რეალურად საქართველოს აღარიბებს, რადგან საქართველოს

„უაზრო სამხედრო ხარჯების გაწევა“ უხდება. Facebook გვერდი „ევრაზია - საინფორმაციო სააგენტო“, რომელიც გულბაათ რცხილაძის მიერ დაარსებული ევრაზიული ინსტიტუტის გვერდია და „ნიუსფრონტის“ სტატიების გასაზიარებლადაც გამოიყენება, ამავე კონტექსტში ამტკიცებდა, რომ აშშ-სა და NATO-ს წევრ სხვა სახელმწიფოებთან ერთად რაღაც გაუგებარ წვრთნებში საქართველო მილიონებს ხარჯავს.

„საქართველო და მსოფლიო“ ასევე ცდილობდა რუსული არმიის აღმატებულად წარმოჩენას NATO-სთან კონტრასტში: **„NATO-ს ეშინია რუსული ჯარის**, რადგან რუსი ჯარისკაცები სამშობლოსთვის და ღირებულებებისთვის იბრძვიან, ხოლო NATO-ს ჯარისკაცები - დოლარებისთვის“.

აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და ანტიდასავლური ნარატივების მთელ სპექტრს მოიცავდა. ანტიამერიკული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელებით კვალავაც გამოირჩედნენ პრორუსული გამოცემები, ისეთები როგორებიცაა: „ნიუსფრონტი“, „საქართველო და მსოფლიო“, „საქინფორმი“, „სპუტნიკი“, ასევე Facebook გვერდები „ალტ-ინფო“, „პოლიტიკანო“ და „სტალინი“.

ერთ-ერთი ძირითადი ნარატივის თანახმად, **ამერიკა საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშად ერევა** და მას თავისი მითითებების შესაბამისად მოქმედებას აიძულებს. „საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით, საარჩევნო ცვლილებები (პროპორციულ მოდელზე გადასვლა) არ იყო ქართველი ხალხის და ამომრჩევლების მოთხოვნა მაგრამ ერთმა „ჩია ქალმა, კელი დეგნანმა, გადაწონა მთელი ერი“. აღნიშნული ნარატივი წინა თვეებშიც, განსაკუთრებით საქართველოში საარჩევნო სისტემის ცვლილებების პერიოდში, აქტიურად ვრცელდებოდა. ამასთანავე „საქართველო და მსოფლიო“ არჩევნებში მონაწილეობის კუთხით მკითხველში ნიჰილიზმს აღვივებდა და აცხადებდა, რომ 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩენებში ყველაფერი წინასწარი სცენარით იქნება გაწერილი ამერიკიდან.

საარჩევნო ცვლილებები (პროპორციულ მოდელზე გადასვლა) არ იყო ქართველი ხალხის და ამომრჩევლების მოთხოვნა, მაგრამ ერთმა „ჩია ქალმა, კელი დეგნანმა, გადაწონა მთელი ერი“

„ნუსფრონტის“ მიხედვით, **ამერიკის საელჩო მართავს ქართულ პოლიტიკას**, მას ემორჩილება მმართველი პოლიტიკური ძალა და ლიბერალური ოპოზიცია, და „სანამ ამერიკის საელჩოს ბოქლომი არ დაედება, მანამდე თავისუფლება და დეოკუპაცია არ გვეღირსება!“. „საქართველო და მსოფლიო“ კიდევ უფრო შორს წავიდა და გაავრცელა მოწოდება, რომ დაიწყოს გამოძიება ელჩი დეგნანის და ზოგადად, აშშ-ის

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ყველაფერი წინასწარი სცენარით იქნება გაწერილი ამერიკიდან

წინააღმდეგ, საქართველოში ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად. Facebook გვერდმა „პოლიტიკანომაც“ ბრალი დასდო აშშ-ს საქართველოს საქმეებში „თავხედურად“ ჩარევაში და აშშ-ის საელჩოს წინ მასობრივი საპროტესტო გამოსვლებისკენ მოუწოდებდა მოსახლეობას.

„ნიუსფრონტმა“ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ლუკაშენკოსთვის პრეზიდენტობის არ მილოცვაც ელჩ დეგნანს დააბრალა და პრემიერი ელჩის უსიტყვო მორჩილებაში დაადანაშაულა. „საქინფორმის“ მტკიცებით კი, ამერიკელები ემუქრებიან საქართველოს ხელისუფლებას, რომ **თუ ახალი პარლამენტი (2020 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ) მრავალპარტიული არ იქნება, ისინი ბათილად სცნობენ არჩევნების შედეგებს და ბელარუსის სცენარს გაიმეორებენ.**

საანგარიშო პერიოდში, აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციის კონტექსტში, სიახლეს წარმოადგენდა აშშ-ის ამჟამინდელ კონსერვატიულ ადმინისტრაციასა და საქართველოში აშშ-ის ლიბერალურ“ სალეჩოს შორის არსებული დაპირისპირების წაროჩენა. აქტიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანია იმის თაობაზე, რომ **ამერიკის საელჩო დაპირისპირებაშია აშშ-ს ხელისუფლებასთან** და საელჩოს პოლიტიკა არ ასახავს ტრამპის ადმინისტრაციის პოზიციებს. გამოცემა „თვალსაზრისის“ მიხედვით, აშშ-ის საელჩო საქართველოში ლიბერალურ ოპოზიციას ლობირებს, მიუხედავად იმისა რომ აშშ-ში კონსერვატორული ხელისუფლებაა. „ქართულ ოცნებას“ მხარს ტრამპის ადმინისტრაცია უჭერს, ელჩი დეგნანი კი მის წინააღმდეგ მოქმედებს და სააკაშვილ-ბოკერიას ეხმარება/კურირებს.

მონიტორინგის პერიოდში, პრორუსული გამოცემები მუდმივად ცდილობდნენ საქართველო-აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორობის ნიველირებას და ამტკიცებდნენ, რომ **აშშ საქართველოს როგორც კოლონიას ისე ეპყრობა** და არა როგორც პარტნიორსა და მეგობარს. „თვალსაზრისმა“ სტატია გამოაქვეყნა, სადაც აშშ დამპყრობელ სახელმწიფოდ არის წარმოდგენილი. “ალტ-ინფოც“ აქტიურად ავრცელებდა მსგავს ნარატივს, რომ აშშ საქართველოს საკუთარ პოლიტიკას ახვევს თავს, რასაც ქვეყნის ხელისუფლება ვერ ეწინააღმდეგება. მათი ნარატივის მიხედვით, გავლენიანი დასავლური (ამერიკული) ელიტა კოლონიალურ პოლიტიკას პატარა ქვეყნების მისამართით ახორციელებს, რაც საქართველოში აშშ-ის საელჩოს გავლით მიმდინარეობს. აღნიშნული ელიტა, საქართველოში ეროვნულ ძალებს წარმატების საშუალებას არ აძლევს.

ამას გარდა, „ფრონტერას“ და „ანაკლიის პორტის“ საქმეები, 21-ე საუკუნის კოლონიალიზმად მონათლა დიმიტრი ლორთქიფანიძემაც (პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრის დირექტორი და დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარობის ამჟამინდელი დამოუკიდებელი კანდიდატი). ლორთქიფანიძის აზრით, ამერიკის მცდელობა არ დაუშვას ანაკლიის პროექტში რუსული და ჩინური ინვესტიციების არსებობა, არ შეესაბამება პარტნიორული ურთიერთობების პრაქტიკას. მისი თქმითვე, „ვაშინგტონის სრული პოლიტიკური მონოპოლია ქვეყანაში სხვა არაფერია დაუფარავად

ამერიკის მცდელობა არ დაუშვას ანაკლიის პროექტში რუსული და ჩინური ინვესტიციების არსებობა, არ შეესაბამება პარტნიორული ურთიერთობების პრაქტიკას

გაცხადებული კოლონიალიზმის გარდა, რომელიც "ფრონტერას" საკითხმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა".

მონიტორინგის პერიოდში, აშშ-ის დისკრედიტაციის მიზნით ლუგარის ცენტრის შესახებ კვლავაც ვრცელდებოდა დეზინფორმაცია. რიგი გამოცემები ლუგარს ამერიკული სამხედრო ინტერესების მსახურებაში და საქართველოს ბიოლოგიური ომისთვის მზადებაში ადანაშაულებდნენ. პრორუსული გამოცემები ცდილობდნენ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში არსებული ბიოლოგიური ლაბორატორიების მითოლოგიზაციას და მათ ირგვლივ შეთქმულების თეორიების გავრცელებას. მათი გზავნილების თანახმად, ამერიკელები სხვადასხვა ქვეყანაში ბიოლოგიურ მასალას აგროვებენ, რათა ცალკეული ეთნოსებისთვის გამიზნული ბიოლოგიური იარაღი შექმნან.

> **„ამერიკელები ჩვილ ბავშვებს აწამებენ, იმიტომ რომ ამ წამების დროს ეს ბავშვი გამოყოფს რაღაც სითხეს, იქიდან ამ სითხეს იღებენ, მერე ცნობილი ვარსკვლავები, თუ პიროვნებები მისი საშუალებით ახალგაზრდობას ინარჩუნებენ"**

რობერტ სტურუამ რადიო „უცნობისთვის" მიცემულ ინტერვიუში, რომელიც მოგვიანებით „ნიუსფრონტმა" სტატიად გამოაქვეყნა, ამერიკული ელიტის ამორალურობაზე ისაუბრა და გაავრცელა აბსურდული შეთქმულების თეორია, რომლის მიხედვითაც: „ამერიკელები ჩვილ ბავშვებს აწამებენ, იმიტომ რომ ამ წამების დროს ეს ბავშვი გამოყოფს რაღაც სითხეს, იქიდან ამ სითხეს იღებენ, მერე ცნობილი ვარსკვლავები, თუ პიროვნებები მისი საშუალებით ახალგაზრდობას ინარჩუნებენ". „საქართველო და მსოფლიო" კი ამტკიცებდა, რომ აშშ-ს სატანისტები და პედოფილები მართავენ.

კიდევ ერთი გავრცელებული ნარატივის მიხედვით **აშშ-ის დახმარება არაფერია რუსეთიდან შემოსულ ფინანსებთან შედარებით** და ის საქართველოს დიდად არც სჭირდება. "საქინფორმის" მიხედვით, აშშ-დან შემოსული დახმარება საქართველოში ძირითადად „მესამე სექტორის" მოსასყიდად და რუსოფობიური მედიების დასაფინანსებლად გამოიყენება. ასევე, აშშ-ის დახმარება ხელისუფლების მოსყიდვა და მათგან უპირობო მორჩილების მიღების საშუალებაა. Facebook გვერდმა „კარდჰუმ" გაავრცელა დეზინფორმაცია, თითქოს „ამერიკა საქართველოს დახმარების შეწყვეტით დაემუქრა, თუკი არ გავათავისუფლებდით ნიკა რურუას", რომელიც მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი ტელეკომპანია „მთავარის" დამფინანსებელი და 2019 წლის ივნისის საპროტესტო აქციების ერთ-ერთი მხარდამჭერია.

„ნიუსფრონტი", თავის მხრივ, ავითარებდა იდეას, რომ **საქართველოს არ სჭირდება ამერიკა** და მხოლოდ ამერიკას სჭირდება საქართველო „როგორც აშშ-ის ერთადერთი სამხედრო დასაყრდენი კავკასიასა და შავ ზღვაზე – რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის წინააღმდეგ, ასევე როგორც სარეზერვო დერეფანი ავღანეთიდან ჯარების გასაყვანად და პირიქით – ირანზე იერიშის შემთხვევაში გადასატვირთავ პუნქტად".

ანტიამერიკული ისტერიის ნაწილი იყო პროპაგანდისტული კამპანია, თითქოს **აშშ სუსტდება** და მისი გლობალური დომინანტობა დასასრულს მიუახლოვდა. „საქართველო და მსოფლიოს“ თანახმად, ამერიკის საგარეო ვალი კატასტროფულად იზრდება და ეკონომიკა ამას დიდხანს ვეღარ გაუძლებს. გამოცემის თქმით, ამერიკული დოლარი კრიზისშია და მას მალე ჩინური იუანი ჩაანაცვლებს. „ნიუსფრონტის“ თანახმად, ამერიკული სამხედრო-საჰაერო ძალების მოდერნიზაცია წარუმატებლად მიმდინარეობს და ის თავის კონკურენტებს ჩამორჩება. ამერიკული სისუსტის წარმოსაჩენად პრორუსული მედიები კორონავირუსის თემატიკასაც იყენებდნენ. მათი ნარატივის თანახმად, კორონავირუსმა წარმოაჩინა ამერიკული სისტემის სისუსტე და უუნარობა და შედეგად, გავლენებსა და უპირატესობას კარგავს დასავლური მედიაც. უფრო მეტიც, პრორუსული მედიები აცხადებდნენ, რომ ვაშინგტონის პოზიციები კავკასიაშიც სუსტდება და ის ცდილობს პასუხისმგებლობები სხვებს გადააბაროს. კავკასიაში რუსეთის და ირანის დომინანტობას ამერიკელები თურქების დომინანტობას ამჯობინებენ და შესაბამისად, მზად არიან ამ მიზნებს საქართველო შესწირონ.

პრორუსული ძალები ასევე ცდილობდნენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების მცდელობებში რუსული მხარის დადებითად წარმოჩენასა და საპირისპიროდ, ამერიკული მხარის შესახებ ნეგატიურ პროპაგანდას. „ნიუსფრონტის“ სტატიის მიხედვით, **ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები, რომელიც რუსეთის მედიაციით წარმატებით მიმდინარეობდა 1997 წელს, ამერიკელებმა ჩაშალეს.**

„საქართველო და მსოფლიოს“ სამიზნეში მოხვდა ამერიკული ლიბერალიზმი და კაპიტალიზმი. გამოცემის მიხედვით, ლიბერალიზმმა ამერიკა არეულობის და ქაოსის ჭაობში ჩაითრია. ამჯერად, შავკანიანებმა „დაიმონეს“ თეთრკანიანები, მალე კი „LGBT სექტანტები“ შეეცდებიან იმავეს „ნორმალურ ადამიანებთან“. იგივე მედიასაშუალება აცხადებდა, რომ **ამერიკელები ლიბერალიზმის სახელით მხარს უჭერენ ევროპაში მიმდინარე „საზოგადოების მორალური ლპობის პროცესს“**. „საქართველო და მსოფლიოს“ თანახმად, ლიბერალიზმის და ამერიკული (დასავლური) განათლების სისტემის შედეგია საქართველოში მოზარდებს შორის გაზრდილი ძალადობა და მკვლელობები. მათივე თქმით, ამერიკიდან თავსმოხვეულმა სისტემამ საქართველო კრიმინალურ სახელმწიფოდ ჩამოაყალიბა. ასევე, „დემოკრატები და რესპუბლიკელები, რეალურად, პარტიები კი არა, ერთი დიდი კაპიტალისტური პარტიის ფრაქციები არიან“, რომლის მიზანიც ვიწრო ფინანსური ელიტის მხრიდან ადამიანების ექსპლუატაციაა. იმავე სტატიაში, ტელეკომპანია „ობიექტივის“ ჟურნალისტი ვალერი კვარაცხელია ამტკიცებდა, რომ სოციალური სამართლიანობისა და კაპიტალიზმის შეუთავსებლობა, ამ უკანასკნელის აბსოლუტური კრახით დამთავრდება. და რომ, **კაპიტალიზმის მმართველობა დასასრულს უახლოვდება, აშშ-ში კი სულ მალე სოციალიზმი გაიმარჯვებს.**

> **ლიბერალიზმის და ამერიკული (დასავლური) განათლების სისტემის შედეგია საქართველოში მოზარდებს შორის გაზრდილი ძალადობა და მკვლელობები**

ანტიდასავლური გამოცემები ცდილობდნენ ამერიკის რუსოფობიური პროპაგანდის გავრცელებაში დადანაშაულებასაც. „საქინფორმის“ მტკიცებით, ამერიკელები ავრცელებენ ყალბ ამბებს რუსეთის

სხვა ქვეყნების არჩევნებში ჩარევის შესახებ. იმავე მტკიცებით, „დოსიეს“ მიერ „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ გამოქვეყნებული ანგარიშებიც ამ პროცესის ნაწილია.

ასევე, აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია ბელარუსში მიმდინარე პროცესების უკან მდგომი ამერიკული ინტერესების შესახებ. „საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით, „ამერიკელები აღვივებენ ამ ბოროტებას რუსეთის წინააღმდეგ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მათი მიზანია, ბელარუსიც ისე მოჰგლიჯონ რუსეთს, როგორც უკრაინა მოჰგლიჯეს“. **ამერიკა ცდილობს „პოსტ-საბჭოთა სივრცის ბოლო ბასტიონის - ბელარუსის დანგრევას და მართლმადიდებელი რუსეთის „ნატოს“ რკალში მოქცევას“.**

ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა წყაროები, რომლებიც ევროკავშირთან დაკავშირებით პროპაგანდასა და დეზინფორმაციას ავრცელებდნენ: გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, „ნიუსფრონტი“, Facebook გვერდი „სტალინი“, „თვალსაზრისი“, „კარდჰუ“, „ქართული იდეა“, „საქინფორმი“, Facebook გვერდი „პოლიტიკანო“, Facebook გვერდი „ანტი-პარადოქსი“, „ქართული აზრი“, „ალტ-კლუბი“.

მონიტორინგის პერიოდში პრორუსული პროპაგანდა ცდილობდა, მკითხველი დაერწმუნებინა, რომ **ევროკავშირი და NATO სატყუარაა და რეალურად საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივა არ აქვს**. შესაბამისად, დეზინფორმაციის თანახმად, „შეპირებული დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მდიდარი, ძლიერი, ნატოსა და ევროკავშირის წევრი საქართველოს ნაცვლად, ნამუსახდილი, მუხლზე დაჩოქილი, გამათხოვრებული, იმედგადაწურული და სასოწარკვეთილი საქართველო შეგვრჩა ხელთ“.

მეორე მხრივ, კრემლის პროპაგანდა ცდილობდა მოსახლეობის დარწმუნებას, რომ „თანამედროვე, დასავლურ ეკონომიკურ სივრცეში ჩვენი [საქართველოს] ადგილი არ არის“ და „დასავლეთისთვის საქართველო უბრალოდ ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ, სატრანზიტო ტერიტორიას წარმოადგენს და მეტს არაფერს“, რითაც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საჭიროებისა და სარგებლის გაქარწყლებას ცდილობდნენ. აგრეთვე გავრცელდა კიდევ ერთი ეკონომიკური თემატიკის დეზინფორმაცია, რის მიხედვითაც, **რუსული ბაზრის ევროპულით ჩანაცვლებამ აჭარა მძიმე სოციალურ და დემოგრაფიულ კატასტროფამდე მიიყვანა.** ამან კი რეგიონი თურქეთის მიერ „კულტურულ-ეკონომიკურ ექსპანსიამდე მიიყვანა“.

პროპაგანდისტულმა გვერდებმა, ევროპული სახელმწიფოებისგან მიღებულ სესხებთან დაკავშირებით, რომელიც პანდემიისგან გამოწვეული კრიზისის დროს მიიღო საქართველომ, ინფორმაცია მანიპულაციურად გაავრცელეს. მაგალითად, წერდნენ, რომ **„გერმანიის გამოყოფილი სესხი და გრანტები საშვილიშვილო**

„დოსიეს“ მიერ გამოქვეყნებული „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ ანგარიშები ამერიკელების მორიგი ყალბი ამბავია რუსეთის სხვა ქვეყნების არჩევნებში ჩარევის საჩვენებლად

ვალებია საქართველოსთვის“. მეტიც, „საქართველო და მსოფლიოს“ თანახმად, **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საზიანო და საფრთხის შემცველია,** რის არგუმენტადაც საბერძნეთის მაგალითი მოჰყავდათ. გაზეთი აგრეთვე წერდა, რომ დასავლეთი (ევროპა და აშშ) საქართველოსგან წლების წინ „სახელმწიფო საკუთრების სასწრაფო და სრულ პრივატიზაციას ითხოვდა“, ხოლო აღნიშნულ პრივატიზაციის პოლიტიკას კი ქვეყნისთვის საზიანოდ წარმოადგენდნენ.

> **საქართველო ბრიუსელში მიღებული ბრძანებებით იმართება, ოღონდ წინა საუკუნის დამპყრობლებისგან განსხვავებით, თანამედროვე დასავლეთის მთავარი ღირებულება „ლგბტ-სექტის პრიმატია“**

კიდევ ერთი ნარატივი, რომლის დამკვიდრებასაც ანტიდასავლური პროპაგანდა ცდილობდა, საქართველოს მთავრობის ევროპელების მარიონეტად წარმოჩენას უკავშირდება. მათი მტკიცებით, საქართველო ბრიუსელში მიღებული რეზოლუციებითა და რეკომენდაციებით, ე.ი. ბრძანებებით, იმართება, ოღონდ წინა საუკუნის დამპყრობლებისგან განსხვავებით, თანამედროვე დასავლეთის მთავარი ღირებულება „ლგბტ-სექტის პრიმატია“. მათ თანახმად, დასავლეთს ქართული დემოკრატია არც ადრე და არც ახლა არ ადარებს. მაშინ როდესაც „საქართველოს მოსახლეობის მესამედზე მეტი, ანუ 1 360 000 ადამიანი შიმშილობს, პოლიტიკური ელიტის მთავარი საზრუნავი ისაა, როგორ ასიამოვნოს დასავლეთს“.

ევროკავშირისგან უკვე მიღებული და გაწევრიანებით მოსალოდნელი სარგებლის ნიველირებისთვის, ანტიდასავლური წყაროები ავრცელებდნენ დეზინფორმაციას, რომ „ევროკავშირთან ურთიერთობის 6-მა წელიწადმა მოლდოვას მხოლოდ ზარალი მოუტანა“. ამავე მიზნით, ამტკიცებდნენ, რომ ბალტიისპირეთში საბჭოთა კავშირის დროს უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე დღეს ლიტვაში, რადგან ევროკავშირსა და NATO-ში მიღების შემდეგ არაფერი გაუმჯობესდა.

> **ბალტიისპირეთში საბჭოთა კავშირის დროს უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე დღეს**

ევროკავშირთან დაკავშირებული დეზინფორმაციის მნიშვნელოვან საკითხს ასოცირების ხელშეკრულება წარმოადგენდა. “საქართველო და მსოფლიო“ ამტკიცებდა, რომ საქართველოს ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკა, რაც, მაგალითად, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაში გამოიხატება, ქვეყანას ხელს უშლის რუსეთთან კონფლიქტის მოგვარებაში.

ანტიდასავლური წყაროები ევროკავშირში ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხარდაჭერით გამოირჩეოდნენ, რაც ევროსკეპტიკური და ულტრამემარჯვენე ხასიათის სიახლეების შერჩევითად გაშუქებით ხდებოდა. მაგალითად, ორგანიზებულად ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ ჩეხეთში 10%-ით მოიმატა ევროკავშირის წევრობით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ. ასევე, ამტკიცებდნენ, რომ „ე.წ. ევროპულ ფასეულობებს ევროპაში ბევრი არ იზიარებს“. აღნიშნულის მაგალითად კი უნგრეთი და პოლონეთი მოჰყავდათ, რომელთაგანაც ევროკავშირმა ფინანსური დახმარების

სანაცვლოდ შეიძლება „უფლებათა უზენაესობის დაცვის საბაბით“ „სექსუალური უმცირესობების ინტერესების ლობირებისა და მიგრანტების მიღების გარანტიები“ მოითხოვოს.

წინა თვეების მსგავსად, ევროკავშირის დისკრედიტაციისთვის კვლავ აქტუალური იყო მიგრაციის საკითხი. ანტიდასავლური პროპაგანდის მიხედვით, **„მიგრაციის ტალღამ ლამისაა წალეკოს ევროპა“** და მიგრანტები დესტაბილიზაციას იწვევენ ევროპის ქალაქებში. „საქართველო და მსოფლიო“ წერდა, რომ უკვე ბევრი ფრანგი, ბელგიელი, გერმანელი, ნიდერლანდელი ხვდება, რომ მილიონობით მიგრანტი ევროპული კულტურისთვის უცხო და მტრულად განწყობილია, ევროპული ჰუმანიზმი კი გონებასუსტობას ჰგავს. „საქართველო და მსოფლიო“ აცხადებდა, რომ **ევროპა მულტიკულტურიზმისა და პოლიტკორექტულობის დიქტატურის ქვეშ ცხოვრობს.** პრორუსული მედია ასევე აღნიშნავდა, რომ იტალიაში ჩრდილოეთ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან დაძრული მიგრანტების გამო შესაძლოა Italexit (იტალიის ევროკავშირიდან გასვლა) მოხდეს. იტალიის საკითხზე ისინი იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ევროკავშირმა იტალიას საერთო ვალუტა, ევრო ძალდატანებით თავს მოახვია, რამაც ეკონომიკა დააზარალა და მთავრობას ევროკავშირიდან ნაკარნახევი პოლიტიკის გატარება მოუწია. აღნიშნული მიზეზიც Italexit გარდაუვალობის წარმოსაჩენადაა მოყვანილი.

ევროკავშირის საწინააღმდეგოდ მიმართული პროპაგანდა მუდმივად აპელირებდა, რომ ევროკავშირი დაშლის პირასაა. აღნიშნული მესიჯი წინა თვეების მონიტორინგშიც შეინიშნებოდა. მაგალითად, პრორუსული მედიები წერდნენ რომ „ერთადერთი გამოსავალი ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელსაც სურს სუვერენიტეტისა და ეკონომიკის შენარჩუნება, ევროკავშირიდან გასვლაა“. აქედან გამომდინარე ამტკიცებდნენ, რომ „ნიდერლანდები შეიძლება ევროკავშირიდან გავიდეს“, ხოლო Nexit [ნიდერლანდების ევროკავშირიდან გასვლა] ევროკავშირს საბოლოოდ დაშლის მიზეზად შეაფასეს. ევროკავშირიდან გასვლის კანდიდატებად საფრანგეთი, დანია, შვედეთი და ავსტრიაც დასახელდა.

> **ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელსაც სურს სუვერენიტეტისა და ეკონომიკის შენარჩუნება, ერთადერთი გამოსავალი ევრო-კავშირიდან გასვლაა**

ევროკავშირის დაშლის კიდევ ერთ შესაძლო მიზეზად, ანტიდასავლური პროპაგანდა კორონავირუსისგან გამოწვეულ კრიზისსაც იყენებდა. ამ კუთხით, ისინი კვლავ იმეორებდნენ მარტ-აპრილში აქტუალურ პროპაგანდისტულ ნარატივს: **„პანდემიამ ყველას დაანახვა, რომ არ არსებობს ერთიანი პოლიტიკური სოლიდარობა ევროპის ქვეყნებს შორის“.** როგორც „საქართველო და მსოფლიო“ აცხადებდა, პანდემიის დროს ევროკავშირის „ყველა ქვეყანა საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტა“ და ესპანეთი და იტალია სასიკვდილოდ გაიწირა. გაზეთი კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების გამო იტალიისა და ესპანეთის გაერთიანებიდან გამოსვლასაც არ გამორიცხავდა, რის შემდეგაც ევროკავშირის საბოლოოდ დაშლასაც აანონსებდა.

ამავე თემაზე “საქართველოს და მსოფლიო“ წერდა, რომ ევროპის დიდი ქვეყნები „ყველგან ერთად არიან, დიდ რვიანში, ევროკავშირში თუ სხვა კავშირსა და ალიანსში, მაგრამ, როგორც კი საქმეს დასჭირდა, როგორც კი ფეხი დაუცდათ იტალიასა და ესპანეთს, დანარჩენები წიხლით შესდგნენ,

გაჭირვებაში მყოფ ქვეყნებს ზურგი შეაქციეს და ბოდიშით შემოიფარგლნენ, დაახლოებით ისე, ჩვენ აღშფოთება-შეშფოთებას რომ გვაკმარებენ ხოლმე". პრორუსული მედიის მტკიცებით, ევროკავშირში სოლიდარობის არარსებობის გამო, გაერთიანება არც საქართველოს დაეხმარება და ამიტომ საქართველომ ევროპისკენ სვლა უნდა შეწყვიტოს. ევროკავშირის ნეგატიურ ბუნებაზე ხაზგასასმელად, მედიები 2008 წელს აგვისტოს ომის დროს დასავლეთის უუნარობაზეც საუბრობდნენ: „დასავლეთი მხოლოდ შეშფოთდა და არ დაგვეხმარა და დღეს კი დახმარების ნაკლები შანსია, რადგან დასავლეთში უკვე აღარ არის ისეთი გეოპოლიტიკური მოცემულობა, როგორიც თუნდაც 12-15 წლის წინათ იყო".

ბელარუსში დემონსტრაციების უკან ევროკავშირი დგას

ბელარუსში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით პრორუსული წყაროები წერდნენ, რომ „ევროპას რუსეთის ღია ჩარევის და ახალი კონფლიქტის ეშინია, რის გამოც ბრიუსელი გაცილებით შემწყნარებელია ლუკაშენკოს მიმართ. პრორუსული მედიები ასევე ამტკიცებდნენ, რომ ბელარუსში მიდინარე პროცესების უკან დასავლეთი დგას. „თვალსაზრისის" თანახმად, მაკრონმაც აღიარა „ბელარუსში ევროკავშირის მიერ მიმდინარე აქციების ორგანიზება.

კრემლის პროპაგანდის თანახმად, „ევროპა-ამერიკა არ აღიარებს ბელარუსი ხალხის ნების გამოხატულებას და აქცენტს აკეთებს იმ 10 პროცენტზე, რომელიც აქტიურობს ქუჩებში, ცდილობს, პროვოცირება მოუწყოს [ლუკაშენკოს] ხელისუფლებას, რათა უკრაინული "მაიდანის" მსგავსად, დიდი სისხლი დაიღვაროს და ყველაფერი ეს ხელისუფლებას, პირადად ლუკაშენკოს დაბრალდეს". პოლონეთსა და ლიეტუვას კი „ნიუსფრონტი" „ბელორუსიის ფაქტობრივი დაშლისა და გადანაწილების სურვილში ადანაშაულებდა.

ივლის-აგვისტოში ანტიდასავლური გვერდების აქტიური განხილვის საგანი იყო ბავშვთა კოდექსი. ანტიდასავლური წყაროები აცხადებდნენ, რომ აღნიშნული იუვენალური იუსტიცია, რომელიც საქართველოში ამუშავდა, ევროკავშირის მსგავსია. აღნიშნული კოდექსი კი, მათი მტკიცებით, უსახსრობის გამო სახელმწიფოს ოჯახისთვის შვილების წართმევას გულისხმობს, რის გამოც გაჭირვებულ ოჯახებს (საქართველოს 20%-ზე მეტს) საფრთხე ემუქრებათ. მათი აზრით, სტრატეგიული პარტნიორების მიერ თავსმოხვეული „იუვენალური იუსტიცია" ხელს შეუწყობს იმ ტრადიციებისა და ოჯახის სიწმინდის უგულებელყოფას, რაზეც საქართველო დგას.

პრორუსული პროპაგანდა ასევე აცხადებდა, რომ „დასავლეთში სიტყვის თავისუფლება საფრთხეშია და ეს საფრთხე დღითიდღე მატულობს". მათი მტკიცებით, „დასავლეთში ადამიანებს მხოლოდ იმის გამო დევნიან და ავიწროვებენ, თუ ვინმე გაბედავს და იტყვის, რომ კარგია წესიერება, ზნეობირობა, ოჯახი და ცუდია გარყვნილება, უწესობა, სიბილწე". მათ მიხედვით, დასავლეთში ტრადიციული ღირებულებების დაცვის გამო ადამიანები ისჯებიან, რისი გადმოტანის მცდელობაც დასავლეთს საქართველოშიც აქვს. აღნიშნული გზავნილები წინა თვეებშიც აქტიურად ვრცელდებოდა.

ივლის-აგვისტოში პრორუსული წყაროები ევროკავშირის დისკრედიტირებას მის წარსულზე აპელირებით ცდილობდნენ. „საქართველო და მსოფლიომ“ „ევროკავშირის ჩრდილოვან ისტორიას“ სტატიების სერიაც კი მიუძღვნა, სადაც ამტკიცებდა, რომ ევროპული პროექტი „ტრანსნაციონალური ელიტების მიერ ეროვნულ ხელისუფლებათა კონტროლის საიმედო სისტემის დანერგვის ფარული გეგმაა”. გეგმის მთავარი მიზანი, გაზეთის თანახმად, „ეროვნული სუვერენიტეტის ამოძირკვაა “.

ევროკავშირის მთავარი მიზანი ეროვნული სუვერენიტეტის ამოძირკვაა

ტრადიციულად კვლავ აქტუალური იყო ევროკავშირის ფასეულობებთან დაკავშირებით მანიპულაციური გზავნილები:

- ევროკავშირი „მასონურ-სატანისტური“ ორგანიზაციაა
- ექსპერიმენტისთვის „გერმანიაში ასობით ბავშვი შეგნებულად გადასცეს პედოფილებს“
- „დასავლეთის უმრავლეს ქვეყანაში სქესობრივი გაუკუღმართების პროპაგანდა საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებელი ნაწილი გახდა“
- „ლიბერალიზმით მოწამლული დასავლეთი“ ეჭვქვეშ აყენებს ორი სქესის არსებობას
- „ბერლინალეს“ კინოფესტივალის სიმბოლომ, დათვმა სქესი „დაკარგა“
- უმეტეს დასავლურ ქვეყანაში დაკანონებულია ერთი და იმავე სქესის პირთა დაქორწინება
- საფრანგეთში „დედა“ და „მამა“ „მშობელი ერთით“ და „მშობელი ორით“ შეიცვალა

ამის საპირისპიროდ, პრორუსული წყაროები რუსეთის კანონმდებლობაზე მიუთითებდნენ, სადაც ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინება აკრძალულია.

ევროკავშირის ტრადიციებთან მებრძოლ გაერთიანებად წარმოჩენისთვის, ანტიდასავლური მედია საუბრობდა წევრობის კანდიდატ მონტენეგროში ევროკავშირის მოწოდებით მიღებულ კანონზე „რომლის თანახმად, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ქონების ჩამორთმევაა შესაძლებელი“ და „ლეგალიზებულია სოდომური კავშირები“. აღნიშნული მაგალითებით კი პრორუსული მედია ცდილობდა მოსახლეობის დარწმუნებას, რომ საქართველომ ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე უარი უნდა თქვას: „თუ ევროპის ფასეულობა არის ეკლესიის სიძულვილი, ტრადიციების, ოჯახის სიწმინდის უგულებელყოფა, ჩვენ არ გვინდა ასეთი ევროპა“.

დეზინფორმაცია საერთაშორისო საკითხებზე

მონიტორინგის პერიოდში, საერთაშორისო საკითხებზე არსებული პროპაგანდისტული საინფორმაციო ველი თითქმის მთლიანად მოიცვა ბელარუსში განვითარებულმა მოვლენებმა. პრორუსული გამოცემები აქტიურად ცდილობდნენ პროცესებში დასავლეთის დადანაშაულებას და ლუკაშენკოს ხელისუფლებისა და რუსეთის დადებით კონტექსტში წარმოჩენას, რაც კრემლის ოფიციალურ პოზიციებს ემთხვეოდა. აღნიშნულ მანიპულაციებს ავრცელებდნენ შემდეგი

წყაროები: Facebook გვერდი „პოლიტიკანო“, Facebook გვერდი „კარდჰუ“, გამოცემა „საქართველო და მსოფლიო“, გამოცემა „თვალსაზრისი“, გამოცემა „ნიუსფრონტი“, ვებგვერდი tvm.ge.

ბელარუსში განვითარებული მოვლენები, პრორუსულმა მედიებმა იმ დეზინფორმაციული ნარატივის გასავრცელებლად გამოიყენეს, თითქოს დასავლეთი ებრძვის ტრადიციულ ფასეულობებს, ხოლო ლუკაშენკო ამ ფასეულობების დაცვის გამო იდევნება. „საქართველო და მსოფლიო“, „პოლიტიკანო“ და „თვალსაზრისი“, ამერიკელ და ევროპელ ლიბერალებს ბელარუსში არეულობის მოწყობას და ლეგიტიმური ხელისუფების ჩამოშორებას აბრალებდნენ. „კარდჰუს“ თანახმად, ბელარუსი პირველი შემთხვევაა, როდესაც დასავლეთს რევოლუციური სცენარი ჩაუვარდა.

დასავლეთი ლუკაშენკოს ტრადიციული ფასეულობების დაცვის გამო დევნის

პრორუსული მედიის მიხედვით, თუ ლუკაშენკოს რეჟიმი დაემხობა, იქ უკრაინის მსგავსი პროცესები დაიწყება და დემოკრატიის სახელით ქვეყანას გააღატაკებენ, გაანადგურებენ და გაყრვნიან. ბელარუსის პროცესების მაპროვოცილებლად და დამგეგმავად, აღნიშნული მედიები დასავლეთს ასახელებენ. მათი მიხედვით, პროცესები ბელარუსში გარედან იმართება და ზეწოლას სოროსის დაფინანსებული ჯგუფები და ევროკავშირი ახორციელებს. აქციების უკან სწორედ ევროკავშირს ხედავდა „ნიუსფრონტიც“ და ბელარუსი ხალხის არჩევანს დასავლეთის მიერ ფეხქვეშ გათელილს უწოდებდა. „ნიუსფრონტის“ თანახმად, კათოლიკური სამყაროც ებრძვის მართლმადიდებლურ ბელარუსს.

პროცესები ბელარუსში გარედან იმართება და ზეწოლას სოროსის დაფინანსებული ჯგუფები და ევროკავშირი ახორციელებს.

ზემოაღნიშნული მედიები ასევე აქტიურად ცდილობდნენ **ლუკაშენკოს როგორც ძლიერი** მმართველისა და პატრიოტის წარმოჩენასაც. „ლუკაშენკო ტრადიციული ღირებულებების ბოლო ბასტიონია ევროპაში“ - აცხადებდა „თვალსაზრისი“. ვებგვერდი tvm.ge იმასაც ამბობდა, თითქოს ქართველი „ლიბერალები“ ბელარუსიაში სიტუაციის ასარევად ჩავიდნენ. გულბაათ რცხილაძემ პეტიციაც კი შექმნა საქართველოს სახელით ლუკაშენკოსთვის არჩევნებში გამარჯვების მისალოცად. „საქართველო და მსოფლიო“ კი ავრცელებდა ინფორმაციას, თითქოს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სინამდვილეში მხარს ლუკაშენკოს უჭერდა. „ნიუსფრონტი“ და „თვალსაზრისი“ აცხადებდნენ, რომ იმ შემთხვევაში თუ საქართველო მხარს არ დაუჭერდა ლუკაშენკოს რეჟიმს, ის აფხაზეთის და ცხინვალის დამოუკიდებლობას აღიარებდა, რაც სხვა სახელმწიფოებსაც უბიძგებდა მსგავსი ნაბიჯისკენ.

ბელარუსის გარდა, პრორუსული გამოცემები ტრადიციულად უტევდნენ **ლიბერალიზმსა და დასავლურ დემოკრატიულ სისტემებს**. „თვალსაზრისის“ მიხედვით ლიბერალები სიტყვის თავისუფლებას ებრძვიან და მათ წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას აანონსებდა. „თვალსაზრისი“ ასევე ცდილობდა მკითხველის დარწმუნებას, რომ „შავკანიანებს, ინდუსებს და არაბებს თან ყვებიან ევროპელები, ქართველებს კი ცუდად ეპყრობიან“. ჯორჯ სოროსი, კრემლის

ტრადიციული გზავნილების მსგავსად, ქართულ პრორუსულ მედიებშიც წარმოდგენილი იყო პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში არეულობებისა და რევოლუციების ორგანიზატორად. ჯორჯ სოროსს დაბრალდა აფრიკაში მიმდინარე არასტაბილურობა და არაბული გაზაფხულის მოწყობაც. ის აღნიშნული რევოლუციების მთავარი დამფინანსებლად გამოაცხადეს. „საქართველოს და მსოფლიოს“ თანახმად, მსგავსადაა საქართველოს ხელისუფლებაც მოსყიდული სოროსის მიერ და დახმარებების სახით დასავლეთიდან შემოსული კაპიტალით. „საქართველო და მსოფლიოს“ მტკიცებით, საქართველო დასავლეთის ბატონობის ქვეშაა. „დღეს დამპყრობელთა გეოგრაფიული სახელები შეიცვალა - ყარაყუმს ვაშინგტონი ჰქვია, სტამბოლს - ბრიუსელი, ისპაჰანს - სტრასბურგი და ახლა იქიდან მიღებული რეზოლუციებითა და რეკომენდაციებით იმართება საქართველო“.

ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე გავრცელებული დეზინფორმაცია

მონიტორინგის ფარგლებში, დეზინფორმაციის და პროპაგანდის სამიზნეში რამდენიმე მნიშვნელოვანი შიდაპოლიტიკური საკითხი გამოიკვეთა, რომელთაც შემდეგი ანტიდასავლური და პრორუსული მედია მანიპულაციურად აშუქებდა: გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, გამოცემა „სპუტნიკი-ოსეთი“, გამოცემა „საქინფორმი“, გამოცემა „ნიუსფრონტი“, გამოცემა „თვალსაზრისი“, Facebook გვერდი „დედაქალაქი“, Facebook გვერდი „ანტილიბერალური დოქტრინა“, Facebook გვერდი „სტალინი“, Facebook გვერდი „ალტ-კლუბი“, Facebook გვერდი „Geo Pepe“, Facebook გვერდი „ალტ-ინფო“.

ივლის-აგვისტოს პერიოდში ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე გავრცელებული დეზინფორმაციის მხრივ, რამდენიმე მიმართულება შეიძლება გამოიყოს. კერძოდ, საინფორმაციო სივრცის მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ცალკეული ონლაინმედიის მტკიცებით, **ლიბერალურად განწყობილი ძალები საქართველოს მარლმადიდებელი ეკლესიის ჩამოსაშლელად ბრძოლას განაგრძობენ.** ამ კუთხით, აღსანიშნავია 29 ივლისს „საქართველოსა და მსოფლიოში“ გამოქვეყნებული სტატია, სადაც მღვდელი გურამ გამცემლიძე ამტკიცებდა, რომ „კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრის“ (CRRC) მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც, წინა წელთან შედარებით, სააღდგომო წირვაზე დასწრების მაჩვენებელი დაახლოებით 91%-ით შემცირდა და მართლმადიდებელი ქრისტიანების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ეთანხმებოდა საერთო კოვზის გამოყენებას ზიარების დროს, რეალობას არ ასახავს. სასულიერო პირის თქმით, სინამდვილეში CRRC-ის კვლევა, ისევე როგორც „სოროსის მიერ დაფინანსებული“ სხვა ორგანიზაციების ანგარიშები, არა რეალობას, არამედ აღნიშნული ძალების იდეოლოგიური სურვილებისა და მისწრაფებების დეკლარირებას წარმოადგენს. ნარატივის მიხედვით, **არასამთავრობო ორგანიზაციებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის „სიმბოლურ და ეგზოტიკურ“ ინსტიტუტად გადაქცევა სურთ**, რომელიც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენას ვეღარ მოახდენს, როგორც ეს დასავლეთშია.

> **ლიბერალურად განწყობილი ძალები საქართველოს მარლმადიდებელი ეკლესიის ჩამოსაშლელად იბრძვიან**

ისევე როგორც გასულ თვეებში, ანტიდასავლური გამოცემების მიერ არასამთავრობო სექტორის, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიისა და ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდისტული კამპანია ივლის-აგვისტოშიც გამოვლინდა. რაც შესაძლოა, ქვეყანაში მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში, კიდევ უფრო სახიფათო აღმოჩნდეს, რადგან სამოქალაქო სექტორის საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალური სწორედ წინასაარჩევნო პერიოდშია.

არასამთავრობო ორგანიზაციები ეკლესიის წინააღმდეგ მოქმედებისთვის ანაზღაურებას სოროსისგან იღებენ

მონიტორინგის ფარგლებში სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციის მცდელობის არაერთი შემთხვევა გამოიკვეთა. კერძოდ, მღვდელი გურამ გამცემლიძის მსგავსად, პოლიტიკური პარტია „ქართული მარშის“ ლიდერმა, სანდრო ბრეგაძემ არასამთავრობო ორგანიზაციებს მათხოვრები უწოდა, რომლებიც ეკლესიის წინააღმდეგ მოქმედებისთვის „ანაზღაურებას სოროსისგან იღებენ“. „ქართულმა მარშმა“ 31 ივლისს „ფონდ ღია საზოგადოების“ ოფისთან აქცია გამართა. აქციაზე პრორუსული პარტიის აქტივისტებმა ჯორჯ სოროსის ფიტული დაწვეს, ხოლო არასამთავრობო სექტორს ქართველი ერის წინააღმდეგ მოქმედი უცხოეთიდან დაფინანსებული ძალა უწოდეს.

არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკის პარალელურად, ანტიდასავლურმა გვერდებმა და პრორუსულმა „პატრიოტთა ალიანსმა“ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის - IRI-ის კვლევის მონაცემები, რომლის მიხედვითაც, პრორუსულ პარტიას მხარს მოსახლეობის მხოლოდ 3% უჭერს, არაზუსტად და მიკერძოებულად მიიჩნიეს. პატრიოტთა ალიანსის მიერ ჩატარებული ე.წ. სოციალური კვლევის შესახებ გამართულ პრესკონფერენციაზე კი, ირმა ინაშვილმა IRI-ის გარდა, NDI და „ედისონ რისერჩი“ „მატყუარა ორგანიზაციებად“ შერაცხა.

ამასთან, მონიტორინგის ფარგლებში ანტიდასავლური საინფორმაციო სააგენტოებისა და Facebook-გვერდების ნაწილის მიერ ოპოზიციური მედიისა და პარტიების წინააღმდეგ მოქმედებაც გამოვლინდა. ამ კუთხით, პროპაგანდისტული საშუალებების აქტივობები „მთავარი არხის“, „ქრონიკა +“-ისა და „ტვ პირველის“ წინააღმდეგ დაფიქსირდა. ნარატივის მიხედვით, აღნიშნული ოპოზიციური მედია ქვეყანაში არსებული ვითარების ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენას ცდილობდა, რისთვისაც გამოგონილ ან გაზვიადებულ ამბებს აშუქებდა. ამასთან, გამოცემა „თვალსაზრისი“ ნაციონალური მოძრაობის მთავრობას რეჟიმს უწოდებდა, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს „ტაძრებს ანგრევდა“. გარდა ამისა, „თვალსაზრისის“ მიერ გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, **არჩევნების წინ ნაციონალური მოძრაობა მკვლელობების სერიის მოწყობას გეგმავს**, რადგან „მკვლელობა ნაცმოძრაობის ხელწერაა“, ხოლო „მეტრუპე ვანოსა“ და „სისხლისმსმელ გიგას“, სისხლისღვრის გარეშე, ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი არ აქვთ. კიდევ ერთი პრორუსული გამოცემა, „საქინფორმი“ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს სექტად მოიხსენიებდა, ხოლო „საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით, ოპოზიციურ პარტიებს „ქართულ ოცნებაზე“ გამარჯვების შანსი არ აქვთ,

რის გამოც ისინი ხელისუფლების შესაცვლელად ძალადობრივ მეთოდებს მიმართავენ და რევოლუციის განხორციელების მცდელობა ექნებათ.

ანტიდასავლური და პრორუსული Facebook გვერდებისა და ონლაინმედიის მიერ ოპოზიციის კრიტიკის კიდევ ერთი მიმართულება აგვისტოს თვეში, რუსეთ-საქართველოს ომის კონტექსტში, წინა ხელისუფლების წინააღმდეგ წარმართული პროპაგანდისტული კამპანია აღმოჩნდა. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოცემებმა: „სპუტნიკ-ოსეთი“, „ნიუსფრონტი“, „საქართველო და მსოფლიო“, „თვალსაზრისი“, „დედაქალაქი“, „ალტ-ინფო“ - „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას ბრალი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გაჩაღებაში, ან რუსეთის მიერ დაგებულ მახეში გაბმასა და პროვოკაციაზე წამოგებაში დასდეს. კერძოდ, „სპუტნიკ-ოსეთმა“, “ნიუსფრონტმა“ და „საქართველო და მსოფლიომ“ საქართველო და ქვეყნის მესამე პრეზიდენტი ომის დაწყებაში პირდაპირ დაადანაშაულეს. „თვალსაზრისის“ მიხედვით, სააკაშვილმა, რომელიც რუსეთთან ერთად საქართველოს „თანაოკუპანტი პარტიის ლიდერია“, რუსეთს „წითელი ხალიჩა დაუგო“ და მათ სამხედრო ძალებს საქართველოში „შემოუძღვა“. Facebook გვერდმა „დედაქალაქი“, სოსო მანჯავიძის[2] მოსაზრება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, **სააკაშვილის ხელისუფლების მიერ რუსეთთან მიმართებაში გადადგმული ყველა ნაბიჯი „რუსეთის სტრატეგიული დაზვერვის სცენარით იყო გაწერილი“,** ხოლო „ალტ-ინფომ“ ომის დროინდელ ხელისუფლებას ბრალი აგვისტოს ომის წინა პერიოდში რუსეთისგან მომავალი აგრესიის საკითხის საერთაშორისო პარტნიორებთან არდაყენებასა და რუსეთის საწინააღმდეგოდ თავიდანვე მკაცრი რიტორიკის არქონაში დაადანაშაულა.

> **სააკაშვილმა რუსეთს წითელი ხალიჩა დაუგო და მის სამხედროებს საქართველოში შემოუძღვა**

აღსანიშნავია, რომ ანტიდასავლური/პრორუსული გამოცემები და პოლიტიკური პარტიები „ქართულ ოცნებას“ ხშირად „ზედმეტ ლიბერალიზმში“ ადანაშაულებენ და ზოგიერთ შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავსად, მიუღებელ პოლიტიკურ ძალადაც მოიხსენიებენ. თუმცა, ამის პარალელურად, აღნიშნული გამოცემები რიგ შემთხვევებში „ქართული ოცნებისადმი“ პირდაპირ თუ ირიბ მხარდაჭერასაც ავლენენ. მაგალითად, პრორუსული გამოცემის, საქინფორმის მთავარი რედაქტორი, არნო ხიდირბეგიშვილი, 1 აგვისტოს გამოქვეყნებულ სარედაქციო სტატიაში ამტკიცებდა, რომ აშშ-ის ინტერესებში, არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება და მთავრობის დამოუკიდებლად შექმნა არ შედის, ხოლო ოპოზიციის წარმატება და მრავალპარტიული,

> **„ქართული ოცნების“ მარცხი, არჩევნებში ოპოზიციის წარმატება და მრავალპარტიული, კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება ვაშინგტონისთვის „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“**

[2] სოსო მანჯავიძე 2014 წლამდე პრორუსული „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო. ამჟამად ის საინფორმაციო პორტალის, „სალტეს“ (სამოქალაქო ალტერნატივა) პოლიტიკურ განყოფილებას უძღვება.

კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება ვაშინგტონისთვის „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“. ხიდირბეგიშვილის მტკიცებით, აღნიშნული განპირობებულია აშშ-ში არსებული რწმენით, რომლის მიხედვითაც, „ქართულმა ოცნებამ“, შესაძლოა, ვაშინგტონის თხოვნა ირანის წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო კამპანიის განმავლობაში საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსების შესახებ, არ დააკმაყოფილოს, რაც მრავალპარტიული ხელისუფლების შემთხვევაში, ხიდირბეგიშვილის აზრით, ნაკლებად სავარაუდოა.

ამასთან, პრორუსული გამოცემა „თვალსაზრისი“ რუსი ოპოზიციონერისა და ბიზნესმენის, მიხაილ ხადარკოვსკის მიერ დაფუძნებულ ცენტრ „დოსიეს“ მიერ გამოქვეყნებულ იმ ანგარიშებსაც გამოეხმაურა, რომლებშიც საუბარი „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო კამპანიის კრემლის მიერ დაფინანსებაზეა. კერძოდ, „თვალსაზრისის“ მტკიცებით, ცენტრი „დოსიეს“ მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები „აიტიშნიკის მიერ კლავიატურაზე ნაკაკუნები ნაბოდვარია“, რის გამოც, „პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსების საკითხის გამოძიების შესახებ ოპოზიციონერი პარლამენტარის, ელენე ხოშტარიას მიერ პროკურატურისთვის მიმართვას „არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა“ და „მგიმოელი ხოშტარიას“ ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდა

საანგარიშო პერიოდში, პრორუსული გამოცემებისა და Facebook გვერდების მიერ რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდის ათეულობით შემთხვევა დაფიქსირდა. ისინი აქცენტს საქართველოს მიერ რუსეთთან ურთიერთობების განახლების მნიშვნელობაზე, რუსეთის სამხედრო და ეკონომიკურ ძლიერებასა და რუსებისა და ქართველების ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილებაზე ამახვილებდნენ. რუსეთის საფრთხის ნიველირება, ან მისი საქართველოს დასავლელ პარტნიორებთან გათანაბრება კი, ევროპისა და ამერიკის დისკრედიტაციის ფონზე ხდებოდა. რუსული პროპაგანდის მხარდაჭერის მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ: გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, გამოცემა „საქინფორმი“, გამოცემა „ნიუსფრონტი“, გამოცემა „თვალსაზრისი“, Facebook გვერდი „სტალინი“.

> „დასავლეთის, და, უწინარესად, აშშ-ის ინტერესებში არ არის ის, რომ საქართველომ კონფლიქტები მშვიდობიანად მოაგვაროს“

სამონიტორინგო პერიოდში, რუსული პროპაგანდის ტრადიციულ თემებს შორის, რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის ნარატივს ანტიდასავლური და პრორუსული გამოცემები განსაკუთრებით ადვოკატირებდნენ. მათი მიხედვით, უგუნურება იქნება, რომ საქართველომ რუსეთთან დიალოგი არ დაიწყოს, რადგან **„საქართველოს ყველა პრობლემის გასაღები რუსეთშია“ და „რუსეთის გარეშე აფხაზეთთან და ოსეთთან არანაირი ურთიერთობა არ გამოვა“**. თავის მხრივ, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების მხარდამჭერებს მიაჩნიათ, რომ ქართული მხარე მოლაპარაკებების დაწყებისკენ მიმართულ ნაბიჯს დასავლეთიდან მიღებული ინსტრუქციების გამო ვერ დგამს, რადგან „დასავლეთის, და, უწინარესად, **ამერიკის შეერთებული**

შტატების ინტერესებში არ არის ის, რომ საქართველომ კონფლიქტები მშვიდობიანად მოაგვაროს, რადგან ეს თავისთავად გამოიწვევს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას". სწორედ ამიტომ, რუსული პროპაგანდის ადგილობრივი გამტარებლების მიხედვით, „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერების ოკუპირებულ აფხაზეთში ვიზიტი, რომელიც მოსკოვთან შეთანხმებით განხორციელდა, სავსებით პოზიტიური მოვლენა იყო. აღნიშნული ნარატივის მხარდასაჭერად, პრორუსული ძალები IRI-ის მიერ ჩატარებული კვლევის იმ ნაწილს იხმობენ, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 75% რუსეთთან დიალოგის მომხრეა. თუმცა, იმავე კვლევით, მოსახლეობის 78% NATO-ში გაწევრიანებას უჭერს მხარს, რასაც კრემლის აპოლოგეტები არ ეთანხმებიან. გარდა ამისა, პრორუსული გამოცემები აქცენტს რუსეთის სამხედრო და ეკონომიკურ სიძლიერეზეც აკეთებდნენ, რაც, მათი თქმით, თბილისის მიერ მოსკოვთან ურთიერთობების ხელახლა დამყარების აუცილებლობაზე მეტყველებს. ნარატივის მიხედვით, მიუხედავად დაპირისპირებისა, პანდემიის პერიოდში, საქართველოს „მაშველი რგოლი" ისევ რუსეთმა გადმოუგდო. არგუმენტად კი ქართული პროდუქტის რუსეთში ექსპორტი მოჰყავდათ: „მოსავლის 90%-ზე მეტი სწორედ რუსეთში გადის და იქ იყიდება", და ზოგადად, „საქართველო რუსეთის ხარჯზე ცხოვრობს" - აცხადებდნენ „საქართველო და მსოფლიო" და „საქინფორმი".

მონიტორინგის პერიოდში, პრორუსული გამოცემები რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის უგულებელყოფისკენ ძალისხმევის მიმართვას კვლავ აგრძელებდნენ. გამოცემა „საქართველო და მსოფლიოს" მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დსთ-ს წევრი აღარაა, „რუსეთის პრეზიდენტს [ქართველების მიმართ] განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს". პრორუსული გამოცემები აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად ქართველი ხალხისადმი რუსეთის ხელისუფლების „კეთილგანწყობისა", „[კრემლი] ვალდებულია, საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები და მოსახლეობა საფრთხეებისგან დაიცვას". მათი მიხედვით, **„რუსეთი იძულებული გახდა, [საქართველოს ოკუპაციით] დაეცვა საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები, რომელსაც დასავლური აგრესიული წრეების მარიონეტად ქცეული საქართველო ჯიუტად არ ითვალისწინებდა".** რუსული პროპაგანდის ადგილობრივი გამტარებლები ამტკიცებდნენ, რომ ეს შესანიშნავად ესმის რუსეთისადმი სიმპათიით განწყობილი ქართველი ხალხის დიდ ნაწილს, რომელზეც „რუსოფობიური" განწყობების თავსმოხვევა ხელოვნურად ხდება. უფრო მეტიც, რუსული პროპაგანდა იმასაც ქადაგებდა, რომ რუსეთთან ურთიერთობაში პრობლემა საკუთრივ საქართველოშია, რადგან „[ქართულმა მხარემ] 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ყველა სიტყვიერი, წერილობითი და ხელშეკრულების ფორმით არსებული შეთახმება დაარღვია", ხოლო „გადაჭარბებული ნაციონალიზმით, შოვინიზმით და არათანმიმდევრულობით წლობით ნაშენები ურთიერთობები და საათივით აწყობილი ცხოვრება დაანგრია".

> **რუსეთი იძულებული გახდა, საქართველოს ოკუპაციით დაეცვა საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები დასავლეთის წინააღმდეგ**

მონიტორინგის ფარგლებში პრორუსული მედიის მიერ დასავლეთის გლობალურ აგრესორად, ხოლო რუსეთის თავდაცვითი პოზიციიდან მოქმედ აქტორად გაშუქება წინა თვეების მსგავსად, ახლაც გამოიკვეთა. მაგალითად, „საქართველო და მსოფლო“ ამტკიცებდა, რომ **2008 წლის აგვისტოში აშშ-მა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყება** უბრძანა, რასაც რუსეთმა პასუხი გასცა და შედეგები თბილისისთვის სავალალო აღმოჩნდა. „ნიუსფრონტის“ მიხედვით, რუსი ოპოზიციონერი, ალექსეი ნავალნი არა კრემლის, არამედ დასავლეთის მიერ იქნა მოწამლული, რათა რუსეთში პოლიტიკური დაძაბულობა, ან, უკეთეს შემთხვევაში, არეულობა გამოწვეულიყო. „საქართველო და მსოფლიო“ კი წერდა, რომ ამერიკის მიერ საქართველოსადმი გაცემული დავალება რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან პროვოკაციების მოწყობაა; რუსეთი ისეთ მტრულ გარემოცვაში არასდროს მოქცეულა, როგორშიც ის ახლაა და ამიტომ, მოსკოვს შესაბამისი საპასუხო ზომების მიღება მართებს.

> **ალექსეი ნავალნი არა კრემლის, არამედ დასავლეთის მიერ იქნა მოწამლული, რათა რუსეთში პოლიტიკური დაძაბულობა ან არეულობა გამოეწვიათ**

მსგავსი ნარატივების პარალელურად, პრორუსული მედია კრემლს ტრადიციული ღირებულებების დამცველ ძალად წარმოაჩენდა, რის გამოც, მოსკოვთან ურთიერთობების ნორმალიზებას საქართველოსთვის პრიორიტეტად აცხადებდა. კერძოდ, „საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით, „მსოფლიო საზოგადოებრიობა მიხვდა, რომ ეროვნული, ტრადიციული ღირებულებების ერთადერთი ძლიერი დამცველი დედამიწის 1/6-ზე გადაჭიმული რუსეთი და მისი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინია და ამიტომაც ეიმედება მისი უბრალო ხალხს.“ ნარატივის მიხედვით, იმის ფონზე, როდესაც ევროპაში ადგილობრივ მოსახლეობას რაოდენობით, მალე აფრიკელი და აზიელი იმიგრანტები გადაუსწრებენ, „რუსეთის პრეზიდენტი პრევენციულ ზომებს იღებს: მას სურს, გარშემო მყოფი ქვეყნებიდან მიიზიდოს კულტურულად და მენტალურად, აგრეთვე, როგორც ქართველების შემთხვევაშია, რელიგიურად ახლობელი ხალხების წარმომადგენლები და შეუქმნას იმაზე უკეთესი პირობები, ვიდრე ამერიკასა და ევროპაშია“.

ამ ყველაფერთან ერთად კი, რუსული პროპაგანდა საბჭოთა კავშირის გაიდეალებასა და ნოსტალგიის გაღვივებას განაგრძობდა. ნარატივის მიხედვით, საბჭოთა პერიოდში „საქართველო ყვაოდა“, „გენიალური“ ლიდერი, სტალინი, რომელმაც „მსოფლიო დააჩოქა“, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების დიდი ქომაგი იყო, ხოლო საკუთრივ საბჭოთა კავშირი „დედამიწის ერთ დიდ ნაწილში ექსპლუატაციისგან მშრომელთა განთავისუფლების შედეგად შექმნილ ერთობას“ წარმოადგენდა.

ანტითურქული დეზინფორმაცია

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა წყაროები, რომლებიც თურქეთის საწინააღმდეგო პროპაგანდასა და დეზინფორმაციას ავრცელებდნენ: გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, „ნიუსფრონტი“, „თვალსაზრისი“, Facebook გვერდი „სტალინი“, „კარდჰუ“, Facebook გვერდი

„დედაქალაქი“, Facebook გვერდი „თურქეთი ოკუპანტია“, „საქინფორმი“, Facebook გვერდი „ანტილიბერალური დოქტრინა“, „ქართული იდეა“, „ქართული მარში“.

ივლისი-აგვისტოს სამონიტორინგო პერიოდში, ანტიდასავლური და პრორუსული პროპაგანდისტული წყაროები თურქეთის მხრიდან მომდინარე „საფრთხეზე“ აპელირებით კვლავ ცდილობდნენ თურქეთის საქართველოს მთავარ მტრად წარმოჩენას, რუსული ოკუპაციისგან ყურადღების გადატანასა და თურქული საფრთხისგან დასაცავად საქართველოსთვის რუსეთის დახმარების აუცილებლობის პროპაგანდირებას. აღსანიშნავია, რომ წინა პერიოდთან შედარებით მოცემულ საკითხზე დეზინფორმაცია/პროპაგანდა გაზრდილია.

აღნიშნული მიმართულებით პროპაგანდის გავრცელებითა და საზოგადეობაში უსაფუძვლო შიშების დანერგვით გამოირჩევა გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, რომელიც ამტკიცებდა, რომ **„ერდოღანი ოსმალეთის იმპერიის აღორძინებას ცდილობს“** და საქართველოს ხარჯზე თურქეთს ტერიტორიების გაფართოების შანსი აქვს. აღნიშნული ნარატივი „პატრიოტთა ალიანსის“ მრავალწლიან კამპანიას ემთხვევა. აგვისტოში, „პატრიოტთა ალიანსმა“ აჭარაში ბანერი წარწერით - „დაიცავი შენი წილი აჭარა“ განათავსა და აღნიშნულ ნარატივს წინაასარჩევნო რეკლამებშიც იმეორებდა. „პატრიოტთა ალიანსის“ ამ ნაბიჯს საზოგადოებაში კრიტიკა მოჰყვა. პრორუსულმა წყაროებმა კი ალიანსის კამპანიას მხარი დაუჭირეს და საზოგადოებაში გაჩენილი კრიტიკა „პატრიოტთა ალიანსის წინააღმდეგ მოწყობილ მორიგ პროვოკაციად“ შეაფასეს. პრორუსულმა მედიებმა ბანერის საკითხზე გამოთქმულ კრიტიკასაც უპასუხეს და „პატრიოტების“ წინააღმდეგ შეტევად და „მადისკრედიტირებელი კამპანიის წარმოებად“ შეაფასეს. „ნიუსფრონტის“, რედაქტორის, შოთა აფხაიძის, მიხედვით, თურქეთს კავკასიაში თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს და ეს ინტერესები საქართველოზეც ვრცელდება, რადგან ის ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო. მისი აზრით, ნეო–ოსმალიზმის, პან–თურქიზმისა და ერდოღანის საგარეო პოლიტიკის კონტექსტში საქართველო, პირველ რიგში, აჭარის ტერიტორიად განიხილება, როგორც თურქეთის ინტეგრალური ნაწილი და მისი მიერთება ანექსიის გზით, ეკონომიკური გაფართოების გზით, პოლიტიკური რევერანსებით მიმდინარეობს“. შოთა აფხაიძე ავითარებდა დეზინფორმაციულ ნარატივს, რომლის მიხედვითაც „თუ საქართველო NATO-ს წევრი გახდება, ანკარა ნამდვილად მიაღწევს საკუთარი სამხედროების განლაგებას მეზობელ ქვეყანაში და არანაირი იურიდიული ასპექტი ამაში ხელს არ შეუშლის“. შესაბამისად, აფხაიძე ამტკიცებდა, რომ თურქეთს „NATO-ს საფარქვეშ“ მთელი საქართველოს ტერიტორიის დაპყრობა შეეძლება და საქართველოში თურქული ჯარის განთავსება „ქართული ტერიტორიის თურქეთის მიერ ოკუპაცია“ იქნება. მეტიც, იგი ამტკიცებდა, რომ „ამერიკა მოლაპარაკებებს აწარმოებს თურქეთთან და თუ საქართველო NATO-ში გაწევრიანდება, ამერიკა ამ ტერიტორიებს, პირველ რიგში, თურქეთს გადასცემს“.

თურქეთს „NATO-ს საფარქვეშ“ მთელი საქართველოს ტერიტორიის დაპყრობა შეეძლება და საქართველოში თურქული ჯარის განთავსება „ქართული ტერიტორიის თურქეთის მიერ ოკუპაცია“ იქნება

მონიტორინგის პერიოდში, პრორუსული წყაროები აქტიურად ცდილობდნენ **თურქეთის ოკუპანტად** წარმოჩენას და მოითხოვდნენ, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის მუზეუმის მსგავსად, იგივე გაკეთდეს „თურქების, არაბებისა და სპარსელების“ შემთხვევაში. „საქართველო და მსოფლიოს“ თანახმად, „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ „რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 22%-ის დროებით (?!) ოკუპაციაზე“ თუ აკეთებენ აქცენტს, მაშინ არც „თურქების მიერ სამუდამოდ ოკუპირებული 34%“ უნდა დაივიწყონ. ამასთანავე, „საქართველო და მსოფლიო“ ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამართლებასაც ცდილობდა ყალბი არგუმენტით თითქოს ბოლშევიკებმა „მენშევიკების მიერ უცხოელ ფულის ტომრებზე მიყიდული ქვეყნის მიწა-წყალი დაუბრუნეს საქართველოს“. აღნიშნული მაგალითით, გამოცემა ბოლშევიკების საქართველოში შემოჭრას ოსმალეთის მიერ საქართველოს დაკავებას ადარებდა და ასკვნიდა, რომ ქვეყნისთვის ეს უკანასკნელი გაცილებით დამაზიანებელი იყო.

„საქართველოს და მსოფლიოს“ მსგავსად, „ნიუსფრონტმა“ გაავრცელა დეზინფორმაცია, თითქოს რუსეთს საქართველოსთვის ცუდი არ გაუკეთებია („არ ებრძოდა რელიგიას, ქართულ ცნობიერებას, დამოუკიდებელ აზროვნებას და არ გვჩაგრავდა“), ხოლო თურქეთი საქართველოს რუსეთის აგრესიისგან არასდროს იცავდა. პოლიტიკურმა სუბიექტმა - „ქართულმა იდეამ“ გამოაქვეყნა ვიდეო, რომლის მიხედვითაც, რუსეთის მსგავსად, თურქეთიც ოკუპანტია (და არა პარტნიორი), რომელსაც „საქართველოს უზარმაზარი ტერიტორია აქვს მითვისებული“ და ახდენს აჭარის ოკუპაციასა და ანექსიას; აქედან გამომდინარე, კი, „ქართული იდეა“ ამტკიცებდა, რომ „თურქეთი არის საქართველოს ნომერ პირველი მტერი“.

ანტიდასავლური წყაროების მიხედვით, მართალია, რუსეთს საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, მაგრამ **თურქეთს უკვე ანექსირებული აქვს ქვეყნის ტერიტორიები**, რაც მათი თქმით, უფრო მძიმე ფაქტია. ამასთანავე, Facebook გვერდი „კარდჰუ“ აცხადებდა, რომ საქართველომ თურქეთის არგასაღიზიანებლად უარი თქვა დიდგორობის დღესასწაულის დაწესებაზე და აღნიშნულის გამო, გვერდი მოქალაქეებს პროტესტისკენ მოუწოდებდა.

თურქეთისგან მტრის ხატის შექმნის მიზნით ანტიდასავლური წყაროები თურქეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული მტრული ქმედებების ჩამონათვალს ავრცელებდნენ სათაურით - „რა დაგვიშავა თურქეთმა?“. ამავე მიზნით სოციალურ ქსელში სისტემატურად ვრცელდებოდა მოწოდებები: „თურქეთი ფიზიკური ოკუპანტი და სულიერი აგრესორია“ და „#თურქეთიოკუპანტია“.

„საქართველო და მსოფლიოს“ მიხედვით, ისტორიულად **თურქეთის სისასტიკის დასრულება მხოლოდ საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლით მოხერხდა**, რის შედეგადაც თურქების განდევნა და საქართველოს ტერიტორიების დაბრუნება დაიწყო. გამოცემის თანახმად, თურქეთის იმპერიული პოლიტიკა ახლაც გრძელდება, მაგრამ არა ცეცხლითა და მახვილით, არამედ - ინვესტორების ხელით, რომელთა

თურქეთის იმპერიული პოლიტიკა ახლაც გრძელდება, მაგრამ არა ცეცხლითა და მახვილით, არამედ - ინვესტორების ხელით

მეშვეობითაც თურქეთი ეკონომიკური და განათლება-კულტურის მიმართულებით ექსპანსიას ახორციელებს, რაც თურქიზაციისა და ისლამიზაციის პროცესს წარმოადგენს.

თურქული იმპერიალიზმის კონტექსტში პრორუსული წყაროები „აჭარის ხელახალ ისლამიზაციას“ აჭარაში მეჩეთების მშენებლობის მოთხოვნასთან აკავშირებდნენ. მათ თანახმად, „თურქული ექსპანსიონისტური გეგმის“ შემდეგი ნაწილები აჭარაში ეთნიკური თურქების ჩასახლებასა და „აჭარის თურქეთთან შეერთებას გულისხმობს“. პროპაგანდის მიხედვით, „ის ვინც თვლის, რომ თურქეთი აჭარის ისლამიზაციას და გათურქებას არ ახორციელებს სრული იდიოტი, ან თურქეთის აგენტია“.

„ნიუსფრონტის“ მიხედვით, თურქეთი საქართველოში „რბილი ძალის“ პოლიტიკას ახორციელებს, რაც თურქი ბიზნესმენების მიერ ბათუმში შენობების შესყიდვაში გამოიხატება. გამოცემა ამტკიცებდა, რომ თურქეთისგან აჭარის საქართველოსთვის დაბრუნება რუსეთის დამსახურებაა, თუმცა ამის საპირისპიროდ, „ქართველმა ხალხმა, გაყიდა აჭარა-ქობულეთი და ჩამოასახლა 40 ათასი თურქი“. აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზად კი „საქართველო და მსოფლიო“ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებასა და სამხედრო მიუმხრობლობის გამოცხადებას ასახელებდა. „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი ასევე ასკვნიდა, რომ „თურქულმა ფაქტორმა აშშ-ს აღიარებინა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთისკენ მიისწრაფვის. მოცემული მესიჯები „პატრიოტთა ალიანსის“ გზავნილებთან სრულ თანხვედრაშია.

მონიტორინგის დროს გამოიკვეთა ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დეზინფორმაციული გზავნილების გააქტიურება. მაგალითად, „თვალსაზრისი“ და Facebook გვერდი „სტალინი“ ამტკიცებდნენ, რომ **2021 წელს ყარსის ხელშეკრულებას ვადა გაუვა** და „მოსალოდნელი თურქული აგრესიისგან დაცვა მხოლოდ რუსეთს შეუძლია“. „საქინფორმის“ თანახმად, ყარსის ხელშეკრულებით აჭარა შეიძლება მალე მიეკუთვნოს თურქეთს და მხოლოდ რუსეთია „ერთადერთი გარანტი, რომ თურქეთმა საქართველოს, როგორც მინიმუმ, მისი ნაწილის, ოკუპაცია არ განახორციელოს“.

აღნიშნულ საკითხზე, „ქართულმა მარშმა“ ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები გააკეთა. ერთი მხრივ, მათ ყარსის ხელშეკრულების ვადის 2021 წელს გასვლას მითი უწოდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, მათ განაცხადეს, რომ 1993 წლის 25 მარტის საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულებით შესაძლებელია, რომ თურქეთმა აჭარა შეიერთოს. აღნიშნულის მიზეზად კი 1993 წლის ხელშეკრულების იმ ნაწილს ასახელებდნენ, სადაც ნათქვამია, რომ მხარეები, მათ შორის, 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებასაც დაიცავენ.

„საქართველო და მსოფლიოს“ მოსაზრებით, თურქეთი ამიერკავკასიაში ვითარების გამწვავებითაა დაინტერესებული და სწორედ ის წარმოადგენს რეგიონში მადესტაბილიზებელ ფაქტორს. სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირების კონტექსტში კი პრორუსული წყაროები მიუთითებდნენ, რომ ჩნდება საფრთხე, თურქეთმა ყოველგვარი ნებართვისა და შეთანხმების გარეშე აზერბაიჯანის დასახმარებლად საქართველოს ტერიტორია გამოიყენოს, როგორც სამხედრო გზა და პლაცდარმი,

რაც საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფა იქნება. პრორუსული წყაროები თურქეთის საელჩოს სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირების საქართველოს ტერიტორიაზე გადმოტანაში ადანაშაულებდნენ.

კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაცია

მიუხედავად იმისა, რომ ივლისისა და აგვისტოში თვეებში ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით საქართველოში შედარებით სტაბილური მდგომარეობა იყო, კორონავირუსთან დაკავშირებით დეზინფორმაცია კვლავაც აქტიურად ვრცელდებოდა. ძირითადი ნარატივები ისევ უცვლელი იყო:

- ვირუსი ხელოვნურად შეიქმნა ლაბორატორიაში
- ვირუსს მოყვება იძულებითი ვაქცინაცია, რაც მოსახლეობის შემცირებასა და კონტროლს ისახავს მიზნად
- COVID-19 არც ისეთი სახიფათოა და ჩვეულებრივი გრიპის ვირუსია ან უფრო მეტიც - ის საერთოდ არ არსებობს

სხვა სამიზნეებისგან განსხვავებით კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაცია გამოირჩეოდა წყაროების მრავალფეროვნებითა და გავრცელების უფრო დიდი მასშტაბებით. კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაციის გავრცელებისთვის აქტიურად გამოიყენებოდა სოციალური ქსელების ანგარიშები (მათ შორის ყალბი ანგარიშები). კორონავირუსთან დაკავშირებით დეზინფორმაციის გავრცელებაში საზოგადოებისთვის ცნობილი არაერთი ადამიანიც იყო ჩართული.

ერთ-ერთი მტკიცებით ჩინელმა მეცნიერებმა, რომლებმაც დატოვეს ჩინეთი და თავი ამერიკას შეაფარეს, აღიარეს რომ **ვირუსი ხელოვნურად შეიქმნა ლაბორატორიაში**. ვრცელდებოდა საპირისპისო ინფორმაციაც, თითქოს ამერიკელებმა შექმნეს ვირუსი მსოფლიო ჰეგემონიის დასამყარებლად. ვრცელდებოდა ყალბი სურათი, სადაც თითქოს აშშ-ის ყოფილი პრეზიდეტი ბარაკ ობამა, ენტონი ფაუჩისთან და მელინდა გეითსთან (ბილ გეიტსის მეუღლე) ვუჰანის ლაბორატორიაში იმყოფება 2016 წელს, რაც ვირუსის ხელოვნურად წარმოქმნის მტკიცებად მოჰყავდათ.

ქართულ სოციალურ ქსელში აქტიურად ვრცელდებოდა ვიდეო, სადაც საუბარია, რომ კორონავირუსი არ არის სასიკვდილო ვირუსი და, რომ მის ირგვლივ ხელოვნურად ქმნიან პანიკასა და მითებს. კოორონავირუსის გაიგივება ხდებოდა სეზონურ გრიპთან. ასევე, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ პანდემიის სტატისტიკები გაყალბებულია და მონაცემები რეალობას არ შეესაბამება. „თვალსაზრისმა“ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს იტალიაში COVID-19-ით გარდაცვლილი 1000 ადამიანიდან მხოლოდ 18 იყო რეალურად კორონავირუსით გარდაცვლილი. „სტალინი“ მოითხოვდა, საქართველოს შესაბამის უწყებებს გამოექვეყნებინათ ყველა ინფიცირებულის სახელი და გვარი. ამასთანავე, Facebook გვერდი ამტკიცებდა რომ საქართველოში ინფიცირებულები უბრალოდ არ არსებობდნენ.

სოციალურ ქსელებში აქტიურად ვრცელდებოდა **ყალბი ინფორმაცია ტესტირებასთან** დაკავშირებითაც. Facebook გვერდის „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ მიხედვით „ტესტირება შესაძლოა გამოყენებულ იქნას მსოფლიოს მოსახლეობის დნმ მონაცემთა ბაზის შესაგროვებლად და ორგანიზმში ნანოჩიპების და ე.წ. "მძინარე" ვირუსების შესაყვანად“. მსგავსი გზავნილის თანახმად, ტესტების საშუალებით ნახევარ საქართველოს უკვე აუღეს ბიოლოგიური მასალა, რომელიც ამერიკაში გადააგზავნეს. ტესტების საშუალებით ხდება გენეტიკური რუკების შედგენა, ტარგეტირებული ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად. გარკვეული ჯგუფები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ტესტირება სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, და რომ ტესტირების დროს სატესტო ჩხირის ცხვირ-სასის მიდამოში ღრმად შესვლით შესაძლებელია ტვინის დაზიანება. Facebook გვერდმა „სტალინმა“ გაავრცელა ე.წ. სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების სამსახურის ბრალდება, თითქოს ლუგარის ლაბორატორიის თანამშრომლები აშშ-ის ინტერესების შესაბამისად ე.წ. საზღვრის მიმდებარე სოფლებში ღამურებს იჭერდნენ და რომ ეს, სავარაუდოდ, კორონავირუსს უკავშირდებოდა. “Sputnik”-ის ცხინვალში მოქმედი რედაქციის მიხედვით კი, ლუგარის ლაბორატორია რეალურ სასიცოცხლო საფრთხეს ქმნის არამარტო საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის, არამედ მთელი კავკასიისთვის.

კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაციის ძირითადი სამიზნე **ვაქცინაცია** და მასთან დაკავშირებული საკითხები გახლდათ. Facebook გვერდი „თავისუფალი სული“ ამტკიცებდა, რომ ვაქცინაციის საშუალებით მასონები კაცობრიობის გადაჯიშებასა და მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას გეგმავენ. პოსტის ავტორი მოუწოდებდა მოსახლეობას უარი ეთქვათ ვაქცინაციაზე. იგივე გვერდი ავრცელებდა ყალბ ინფორმაციას თითქოს COVID-19-ის „ვაქცინის აღჭურვილობაზე“ სიკვდილის ღმერთი ანუბისი იყო გამოსახული. აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობაზე გამოცდიდნენ ისეთ ექსპერიმენტულ ვაქცინას რომელიც ლაბორატორიულად მზად არ იქნებოდა. „რეზონანსი“ რუსი ექსტრასენსის კაშპიროვსკის სიტყვებს ციტირებდა, რომლის მიხდვითაც, ბილ გეითსი და მასთან დაკავშირებული ჯგუფები კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინას მოსახლეობის მასობრივად განადგურებისთვის გამოიყენებენ. „ნიუსფრონტი“ კი ფსევდო-მეცნიერულ გამოცემა „Global Research”-ზე დაყრდნობით წერდა, რომ ვაქცინაცია მომავალში სავალდებული ხასიათს მიიღებს გლობალურად, რაც შეიძლება მის უკან მდგარ საფრთხეებსა და ინტერესებზე მიუთითებდეს. „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ ამტკიცებდა, რომ იმ შემთხვევაში თუ ბავშვებს არ გაუკეთებენ სავალდებულო კოვიდ-ვაქცინას, სახელმწიფო ოჯახებს შვილებს ჩამოართმევს. „საქართველო და მსოფლიო“ ავრცელებდა ყალბ ინფორმაციას თითქოს კორონავირუსით დაზარალებულმა დიდმა ქვეყნებმა უარი თქვეს ექსპერიმენტულ ვაქცინაზე და მისი გამოცდა საქართველოში და მის მსგავს ქვეყნებში მოხდება. ასევე, ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს ვაქცინა გადააგვარებს და შეცვლის ადამიანების გენეტიკას.

ძირითადი აქტორების სტატისტიკა



მონიტორინგის ფარგლებში ჯამში შევისწავლეთ 1372 მასალა, საიდანაც ანგარიშში მოხვდა - 253. თუმცა, ვინაიდან Facebook-მა 2020 წლის ოქტომბერში საკუთარი პლატფორმიდან „ალტ-ინფო“ და მასთან დაკავშირებული გვერდები წაშალა, საბოლოოდ ანგარიშში 223 აქტიური ბმული დარჩა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა „საქართველო და მსოფლიო“, რომელიც Facebook-ზე გავრცელების, ვებგვერდზე კითხვადობის და სტატიების რაოდენობის მხრივ წამყვანი მედია საშუალება იყო. აღსანიშნავია, რომ „ნიუსფრონტი“, რომელიც პირველ ორ კვლევაში (იანვარი-თებერვალი და მარტი-აპრილის ანგარიშები) ყველაზე გავრცელებული წყარო იყო, მიმდინარე სამონიტორინგო პერიოდში გავრცელების კლების ტენდენციით გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ სტატიების რაოდენობით ის მაინც მეორე ადგილს იკავებს, მისი გავრცელება (ინტერაქციები) Facebook-ზე განულებულია. „ნიუსფრონტის“ Facebook-ზე გავრცელებული ყველა სტატია წაშლილია თავად „ნიუსფრონტის“ მიერ (რადგან მისი მასალების გამავრცელებელი გვერდები არ დაუბლოკავს Facebook-ს), სავარაუდოდ არაავთენტური ქცევის დამალვისა და სანქციების თავიდან აცილების მიზნით. საგულისხმოა, „თვალსაზრისის“ აქტიურობის ზრდა სამონიტრინგო პერიოდში. თუ აქამდე „თვალსაზრისი“ ძირითადად მოქმედებდა როგორც ახალი ამბების სააგენტო, რომელიც შედარებით იშვიათად ავრცელებდა დეზინფორმაციასა და პროპაგანდას, ივლის-აგვისტოში ის საკმაოდ გააქტიურდა ამ მიმართულებითაც და „საქართველო და მსოფლიოს“ შემდეგ, ყველაზე დიდი გავრცელება Facebook-ზე სწორედ მას ქონდა.

ანგარიშში მოხვედრილი წყაროების სტატისტიკა



საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS) არის მრავალპროფილური ანალიტიკური ცენტრი, რომელიც დაარსდა 2012 წლის ოქტომბერში. GRASS-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს საქართველოს საგარეო, უსაფრთხოების, დეზინფორმაცია/პროპაგანდის საკითხების, საჯარო პოლიტიკისა და საჯარო ადმინისტრირების სფეროს კვლევასა და მის სიღრმისეულ ანალიზს,.